

## წინასიტყვაობა

მართლმსაჯულების სისტემაში მიმდინარე რეფორმების მესამე ტალღა მთელ რიგ ნოვაციებს მოიცავს. მათ შორის დისციპლინურ სამართალწარმოების სფეროში ახალი ინსტიტუტის - დამოუკიდებელი ინსპექტორის თანამდებობის ჩამოყალიბებას. დამოუკიდებელმა ინსპექტორმა უნდა უზრუნველყოს, ერთის მხრივ, დისციპლინური პროცედურების ეფექტურობა, სასამართლოს პრესტიჟისა და ავტორიტეტის სათანადო დაცვა და, მეორეს მხრივ, დისციპლინური სამართალწარმოების შესაბამისობა სასამართლოს დამოუკიდებლობისა და მოსამართლის საქმიანობაში ჩაურევლობის პრინციპებთან.

მართლმსაჯულების სისტემაში დამოუკიდებელი ინსპექცია, როგორც დისციპლინური სამართალწარმოების შემადგენელი ნაწილი უკვე დიდი ხანია სხვადასხვა ფორმით ფუნქციონირებს ევროპის ქვეყნებში.

წარმოდგენილ კვლევაში განხილულია სხვადასხვა ქვეყნებში არსებული დამოუკიდებელი ინსპექციის მოდელები, დამოუკიდებელი ინსპექტორის როლი, ფუნქციები, უფლებამოსილება და მისი არჩევის წესი.

ევროკავშირის ქვეყნებში სასამართლო ინსპექციის სამსახურის ფუნქციონირება  
და დისციპლინარული პასუხისმგებლობის საკითხები  
(შედარებითი ანალიზი)

*შინაარსი*

**თავი 1. დამოუკიდებელი ინსპექციის სამსახური**

1. სასამართლოს ინსპექციის კომპეტენტური ორგანო
2. ინსპექციის სამსახურის ძირითადი ადგილი სამართლებრივ სისტემაში
3. იუსტიციის მინისტრის წინაშე ანგარიშვალდებული ინსპექციის სამსახური
4. ინსპექციის სამსახურები, რომლებიც ანგარიშვალდებულნი არიან იუსტიციის საბჭოს წინაშე
5. შერეული სისტემა
6. ინსპექტორთა დანიშვნა
  - ა. ინსპექტორთა პროფესიული გამოცდილება
  - ბ. ინსპექტორთა დანიშვნის პროცედურები

**თავი 2. ინსპექციის სამსახურის მოწყობა**

1. ინსპექციის სამსახურის მიზნები
2. კოორდინაცია
3. ინსპექციის ტიპები
4. ინსპექციათა სიხშირე
5. ინსპექციის პროცედურები

**თავი 3. საგამოძიებო პროცედურა**

1. ინსპექტორის პროფესიული გამოცდილება
2. დანიშვნის პროცედურები
3. დისციპლინური პასუხისმგებლობა

- ა. დისციპლინური ღონისძიების განხორციელების უფლებამოსილება
- ბ. სანქციების დაკისრების უფლებამოსილება
- გ. დისციპლინური გადაცდომების კლასიფიკაცია
- დ. სანქციათა სიმკაცრის განმსაზღვრელი კრიტერიუმები
- ე. საჩივრების შესწავლა საქმის არსებითი განხილვის გარეშე
- ვ. სასამართლო გადაწყვეტილების შინაარსთან დაკავშირებული საჩივრების განხილვა
- ზ. ქვევის სტანდარტების დარღვევა
- თ. ჩანაწერები დისციპლინური სანქციების შესახებ

#### **თავი 4. დისციპლინური პასუხისმგებლობა**

1. დისციპლინური ღონისძიებების დაწყების უფლება
2. სანქციის დადების უფლება.
3. დისციპლინური გადაცდომის სახეები
4. სანქციის სიმკაცრის განმსაზღვრელი კრიტერიუმები
5. საჩივრების შესწავლა საქმის არსებითი განხილვის გარეშე
6. სასამართლო გადაწყვეტილების შინაარსთან დაკავშირებული საჩივრების განხილვა

#### **თავი 5. მაგისტრატა უმაღლესი საბჭოს სასამართლო იურისდიქცია**

1. ძირითადი პრინციპი
  - ა. ქვევის სტანდარტების დარღვევა
  - ბ. ჩანაწერები დისციპლინური სანქციების შესახებ

#### **თავი 6. დამოუკიდებლობის პრინციპი: შიდა პერსპექტივა**

**დასკვნა**

## თავი 1. დამოუკიდებელი ინსპექციის სამსახური

### 1. სასამართლოს ინსპექციის კომპეტენტური ორგანო

სასამართლო ინსპექციის სამსახური სხვადასხვა ქვეყნებში სხვადასხვაგვარად არის მოწყობილი. უნდა მოხდეს მკაფიო განსხვავება ერთი მხრივ, იმ სახელმწიფოებს შორის, სადაც არ არსებობს სასამართლოს ინსპექციის სამსახური და მეორე მხრივ, იმ სახელმწიფოებს შორის, რომლებმაც განავითარეს სასამართლოში ინსპექციის ჩატარების მექანიზმები. ეს კვლევა, შესაბამისად, ფოკუსირებას მოახდენს უკანასკნელზე და, ასევე, აღნიშნულ შემთხვევებს შორის განსხვავებებზე.

- სახელმწიფოები, რომელთაც არ აქვთ ინსპექციის სამსახური: ჩეხეთის რესპუბლიკა, ინგლისი და უელსი, უნგრეთი, ლატვია, მალტა და დანია. თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ მათ არ აქვთ კონტროლის ან ზედამხედველობის მექანიზმები. ამ სახელმწიფოებიდან რამდენიმეში, მაგალითად დანიაში, სასამართლოებს აქვთ უფლებამოსილება, თავად შეაფასონ საკუთარი მენეჯმენტი, ხოლო რაც შეეხება ადმინისტრაციულ საკითხებს, ისინი არიან იმავე პოზიციაში, როგორც სხვა ადმინისტრაციული ორგანოები. ყველა სასამართლოს მართვა ხორციელდება სასამართლო ადმინისტრაციის მიერ, რომელიც არის დამოუკიდებელი ორგანო, თავისი უფროს ადმინისტრაციულ ოფიცერთა და სამეთვალყურეო საბჭოთი, რომელთა უმრავლესობას მოსამართლეები წარმოადგენენ. აღნიშნული ადმინისტრაცია დამოუკიდებელია იუსტიციის სამინისტროსგან. სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე არის უზენაესი სასამართლოს მოსამართლე. ინგლისსა და უელსში, მსგავსად ამისა, ინსპექციის სისტემა დაკავშირებულია თავად სასამართლოებთან, და არა სასამართლო ორგანოსთან, როგორც ასეთი.
- ევროკავშირის სახელმწიფოები, რომლებსაც აქვთ ინსპექციის სამსახურები, არიან: გერმანია, სლოვენია, იტალია, საფრანგეთი, ბელგია, პორტუგალია, ბულგარეთი და ესპანეთი.

### 2. ინსპექციის სამსახურის ძირითადი ადგილი სამართლებრივ სისტემაში

ის ქვეყნები, რომელთა სამართლებრივ სისტემებშიც გათვალისწინებულია სასამართლოს ინსპექცია, შეიძლება დაიყოს სამ სხვადასხვა ჯგუფად. აღნიშნული დაყოფა დამოკიდებულია იმ ორგანოებზე, თუ ვის წინაშეც არის ინსპექციის ორგანო ანგარიშვალდებული.

- სახელმწიფოები, სადაც პროცესი ტარდება იუსტიციის მინისტრის მიერ.
- სახელმწიფოები, სადაც იუსტიციის საბჭოები ატარებენ სასამართლო ინსპექციებს.
- სახელმწიფოები, სადაც შერეული სისტემა აქვთ.

### 3. იუსტიციის მინისტრის წინაშე ანგარიშვალდებული ინსპექციის სამსახური

ამ ჯგუფში არიან: საფრანგეთი, გერმანია და იტალია. ევროკავშირის სასამართლო სისტემაში ამ სახელმწიფოთა მნიშვნელობა და განსაკუთრებული წონა უდავოა.

- **საფრანგეთში** სასამართლო სისტემის გენერალური ინსპექცია (L'inspection générale des services judiciaires) ახორციელებს მუდმივმოქმედ მისიას სასამართლოთა ინსპექციაზე. ამ მისიას ხელმძღვანელობს გენერალური ინსპექტორი - უფროსი მოსამართლე, რომელიც მიმაგრებულია იუსტიციის მინისტრთან. გენერალურ ინსპექტორს დახმარებას უწევენ სხვა გენერალური ინსპექტორები.
- **გერმანიის** შემთხვევაში, თითოეულ სასამართლოში შექმნილია ინსპექციის სამსახური, სადაც უფროსი ინსპექტორი ყოველთვის არის სასამართლოს თავმჯდომარე. თითოეულ *Länder*-ში არსებობს სასამართლოს სამი ინსტანცია. უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარე ვალდებულია, მოახდინოს ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოთა ინსპექტირება. *Länder*-ების უმაღლეს სასამართლოებთან მიმართებაში (როგორცაა ჰამბურგი ან ბერლინი), ინსპექციას ახორციელებს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე. იუსტიციის მინისტრს, როგორც ფედერალურ, ასევე *Länder*-ის დონეზე, აქვს ინსპექციის სრული კომპეტენცია. აღნიშნული კომპეტენცია დამოკიდებულია სასამართლოს ბუნებაზე.
- **იტალიაში** არსებობს ინსპექციის ცენტრალური სამსახური, რომელიც ანგარიშვალდებულია იუსტიციის სამინისტროს წინაშე.

### 4. ინსპექციის სამსახურები, რომლებიც ანგარიშვალდებულნი არიან იუსტიციის საბჭოს წინაშე

აღნიშნულ ჯგუფს მიეკუთვნებიან შემდეგი სახელმწიფოები: ბელგია, ბულგარეთი, პორტუგალია და ესპანეთი.

- **ბელგია:** წინასწარ უნდა აღინიშნოს, რომ დისციპლინურ საკითხებთან მიმართებაში, არ არსებობს სპეციფიკური ორგანო, რომელიც სასამართლოთა ინსპექტირებაზეა კომპეტენტური. თუმცადა, იუსტიციის უმაღლესი საბჭო, რომელიც შედგება მოსამართლეებისაგან და სასამართლოს წევრებისგან, თამაშობს მნიშვნელოვან როლს ბელგიის ინსტიტუტებში, ვინაიდან მის მოვალეობას წარმოადგენს მოსამართლეთა არჩევის ორგანიზება. საბჭო ახორციელებს სასამართლო სისტემის მუშაობაზე გარე კონტროლს, შეიმუშავებს რეკომენდაციებს და გამოსცემს მოსაზრებებს. მისი რეკომენდაციები დამოუკიდებელია მოსამართლეთა წინააღმდეგ წარმოებული რაიმე დისციპლინური სამართალწარმოებისგან. ჩვეულებრივ, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს რეკომენდაციები მიემართება იუსტიციის მინისტრს, რათა გაუმჯობესდეს ინსპექტირებულ სასამართლოში მართლმსაჯულების წარმოება.

- **ბულგარეთი:** ბულგარეთის კონსტიტუცია ითვალისწინებს ინსპექციის სამსახურის ფუნქციებს. კონსტიტუციის 132a(1)-ე მუხლის შესაბამისად, ინსპექცია ჩამოყალიბდება იუსტიციის უმაღლეს საბჭოში, რომლის შემადგენლობაშიც იქნებიან მთავარი ინსპექტორი და ათი ინსპექტორი. ამ სისტემის განსაკუთრებულობა მდგომარეობს იმაში, რომ მაშინ, როდესაც ინსპექციის სამსახური ფუნქციონალურად ანგარიშვალდებულია იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წინაშე, მის წევრებს ნიშნავს ეროვნული ასამბლეა.
- **პორტუგალია:** პორტუგალიაში მაგისტრატების ინსპექცია ხორციელდება მხოლოდ და ექსკლუზიურად მაგისტრატთა უმაღლესი საბჭოს ეგიდით, რომელიც არის მართვისა და დისციპლინური სამართალწარმოების ორგანო, რომელიც არეგულირებს მოსამართლეების საქმიანობას.
- **ესპანეთი:** ინსპექციის სამსახური გაერთიანებულია იუსტიციის გენერალური საბჭოს სტრუქტურაში.

## 5. შერეული სისტემა

ეს ჯგუფი წარმოდგენილია სლოვენის მიერ. სლოვენის სამართლებრივი სისტემის მიხედვით, სასამართლოთა ინსპექცია მოიცავს როგორც სასამართლოთა ადმინისტრაციულ საკითხებს, ასევე იმ საკითხებს, რომელიც შეეხება მოსამართლეთა დისციპლინურ პასუხისმგებლობას.

სასამართლოების ადმინისტრაციულ საკითხებთან დაკავშირებით (რომელიც მოიცავს, მოსამართლეთა საქმიანობის მონიტორინგს, ორგანიზებასა და ანალიზს, სასამართლო უფლებამოსილების განხორციელებისათვის პირობების უზრუნველყოფასა და რეგულირებას, კანონის შესაბამისად საპროცესო ქმედებებისა და სასამართლო გადაწყვეტილებების მიღების ვადებს, ასევე, სასამართლოს რეგლამენტსა და სხვა რეგულაციებს), ინსპექცია ხორციელდება როგორც სასამართლოთა, ასევე თავად იუსტიციის მინისტრის მიერ. პირველი ინსტანციის სასამართლოებში ამ საკითხების განხორციელებას მონიტორინგს უწევს უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარე, მაშინ, როდესაც ყველა ინსტანციის სასამართლოებში, ეს ხორციელდება სლოვენის რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის მიერ. სლოვენის რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე სასამართლოთა მუშაობის შესახებ ანგარიშვალდებულია იუსტიციის მინისტრის წინაშე. იუსტიციის მინისტრს შეუძლია, განახორციელოს ზედამხედველობა სასამართლოს მუშაობისა და სასამართლოს თავმჯდომარის გადაწყვეტილებებისა და მუშაობის შესახებ ინფორმაციის წარდგენის მოთხოვნით, ან სასამართლოს მუშაობისა და ზედამხედველობის შესახებ წერილობითი ახსნა-განმარტებებისა და ანგარიშების წარდგენის მოთხოვნით ან სასამართლოს ადმინისტრირებაში გარკვეული ვალდებულებების იმპლემენტაციით. თუმცადა, მნიშვნელოვანია გათვალისწინებულ იქნეს, რომ მოსამართლეები სარგებლობენ დამოუკიდებელი სტატუსით, რომელიც აძლევთ მათ სრულ

კომპეტენციასა და უფლებებს მათი ფუნქციების შესრულებაში, რომელიც აბრკოლებს იუსტიციის მინისტრს, ჩაერიოს მათ სასამართლო გადაწყვეტილებებსა და საქმიანობაში.

მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობის ინსპექციასთან დაკავშირებით, ერთადერთ კომპეტენტურ ორგანოებს წარმოადგენენ დისციპლინური ორგანოები, რომლებიც ინიშნებიან და თავისუფლდებიან თავად სასამართლოს მიერ.

## 6. ინსპექტორთა დანიშვნა

### ა. ინსპექტორთა პროფესიული გამოცდილება

ინსპექტორთა პროფესიულ გამოცდილებასთან დაკავშირებით შეიძლება გამოიყოს ოთხი ჯგუფი:

- სახელმწიფოები, სადაც მხოლოდ მაგისტრატებს აქვთ სასამართლოების ინსპექციის უფლება: ბელგია, საფრანგეთი, გერმანია და იტალია.
- სახელმწიფოები, სადაც მხოლოდ სასამართლოების მართვასთან პირდაპირ დაკავშირებულ იურისტებს შეუძლიათ ინსპექციის განხორციელება: პორტუგალია და ესპანეთი, სადაც ამ პოზიციებს იკავებენ მოსამართლეები და სასამართლოების მოხელეები.
- სახელმწიფოები, სადაც ინსპექციის უფლება მინიჭებული აქვთ იმ პირებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებულნი სასამართლო ადმინისტრაციასთან: ბულგარეთი. ამ სახელმწიფოში სასამართლო სისტემის აქტის 142(1)-ე მუხლის შესაბამისად, პროფესიონალიზმისა და ეთიკის მაღალი სტანდარტების საფუძველზე აირჩევიან იურისტები მთავარი ინსპექტორისა და ინსპექტორების პოზიციებზე. სასამართლო სისტემის აქტის 142(4)-ე მუხლი ითვალისწინებს, რომ კონსტიტუციის შესაბამისად, ათი ინსპექტორიდან ხუთი ინსპექტორი უნდა იყოს მაგისტრატი.
- განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია სლოვენის შემთხვევა. მართლაც, იმის გათვალისწინებით, რომ სლოვენიაში სასამართლო ინსპექციის ორი კომპეტენტური ორგანო არსებობს, განსხვავება უნდა გაკეთდეს სასამართლო ორგანოსა და აღმასრულებელ ორგანოში წევრთა არჩევასთან დაკავშირებით.

**სასამართლო ორგანო.** დისციპლინური სასამართლოები აირჩევიან და თავისუფლდებიან უზენაესი სასამართლოს პლენარული სესიით იუსტიციის საბჭოს რეკომენდაციის საფუძველზე. სლოვენის სამართლებრივი სისტემა არეგულირებს არჩევის ორ განსხვავებულ პროცედურას: ერთი ეხება პირველი ინსტანციის დისციპლინურ სასამართლოს, ხოლო მეორე ეხება მეორე ინსტანციის დისციპლინურ სასამართლოს. პირველი ინსტანციის დისციპლინური სასამართლო შედგება რვა მოსამართლისგან (უზენაესი სასამართლოს ორი მოსამართლე, უმაღლესი სასამართლოს ორი მოსამართლე, რაიონული სასამართლოს ორი მოსამართლე და

საოლქო სასამართლოს ორი მოსამართლე). უზენაესი სასამართლოს ერთ-ერთი მოსამართლე იქნება პირველი ინსტანციის დისციპლინური სასამართლოს თავმჯდომარე, ხოლო მეორე მოსამართლე იქნება მისი მოადგილე. მეორე ინსტანციის დისციპლინური სასამართლო შედგება უზენაესი სასამართლოს ხუთი მოსამართლისგან.

იუსტიციის მინისტრი. ეს პოლიტიკური ინსტიტუტია. სასამართლოთა საქმიანობის მეთვალყურეობა წარმოადგენს სამინისტროს ამოცანებისა და კომპეტენციის ნაწილს. ამასთან დაკავშირებით, ინსპექტორთა არჩევის პროცედურა არ არის რელევანტური. იუსტიციის მინისტრისთვის არ არსებობს პროფესიული გამოცდილების შესახებ მოთხოვნები, მაგრამ ჩვეულებრივ, ისინი უმაღლესი განათლების მქონე იურისტები არიან.

## ბ. ინსპექტორთა დანიშვნის პროცედურები

ამ საკითხთან დაკავშირებით სახელმწიფოთა შორის არსებობს დიდი განსხვავებები:

- *სახელმწიფოები, რომელთაც აქვთ დანიშვნის დისკრეციული უფლებამოსილების მაღალი ხარისხი*

**საფრანგეთი:** გენერალური ინსპექტორი ინიშნება რესპუბლიკის პრეზიდენტის დეკრეტით მაგისტრატთა უმაღლეს საბჭოსთან წინასწარი განხილვის გარეშე. ამის საპირისპიროდ, პრეზიდენტის დეკრეტი, რომლითაც ინიშნებიან თანაშემწე ინსპექტორები და ინსპექტორები, შეიცავს საბჭოს მოსაზრებას. შერჩევის პროცესს ახორციელებს მაგისტრატთა უმაღლესი საბჭო. პროკურორებს მოეთხოვებათ მინიმუმ ათწლიანი გამოცდილება. პროცედურა საკმაოდ მარტივია: განაცხადის ფორმა წარედგინება გენერალურ ინსპექტორს, რომელსაც შეუძლია, დაიბაროს განმცხადებელი გასაუბრებისთვის და გადაწყვიტოს, რამდენად აკმაყოფილებს იგი მოთხოვნებს.

**იტალია:** იუსტიციის მინისტრი სრულიად თავისუფალია ინსპექტორთა დანიშვნასა და გათავისუფლებისაგან.

- *სახელმწიფოები, რომელთაც აქვთ დანიშვნის დისკრეციული უფლებამოსილების დაბალი ხარისხი*

**ბელგია:** ეროვნული დისციპლინური საბჭოს წევრები აირჩევიან თავიანთი კოლეგების მიერ. ისინი უნდა იყვნენ მინიმუმ 10 წლიანი გამოცდილების მქონე მაგისტრატები.



- *სახელმწიფოები, რომელთაც აქვთ დანიშვნის დისკრეციული უფლებამოსილების საშუალო ხარისხი*

**ბულგარეთი:** ბულგარეთის კონსტიტუციის მიხედვით, მთავარი ინსპექტორი და ინსპექტორები აირჩევიან ეროვნული ასამბლეის მიერ ხმათა ორ-მესამედით.

სასამართლო სისტემის აქტის 44-ე, 45-ე და მე-4 მუხლების მიხედვით, მთავარი ინსპექტორისა და ინსპექტორების პოზიციებზე ნომინირებული კანდიდატების შესახებ ინფორმაცია წარედგინება ეროვნულ ასამბლეას მთავარი ინსპექტორისა და ინსპექტორების უფლებამოსლების ამოწურვამდე არაუადრეს 3 თვისა და არაუგვიანეს 2 თვისა. წარდგენილი კანდიდატები განიხილება ეროვნული ასამბლეის სპეციალიზირებული მუდმივმოქმედი კომისიის მიერ. სპეციალიზირებული მუდმივმოქმედი კომისია ზეპირი მოსმენით განიხილავს კანდიდატების კანონის მოთხოვნებთან შესაბამისობას და წარუდგენს ეროვნულ ასამბლეას დასკვნით მოხსენებას. ეროვნული ასამბლეა ცალ-ცალკე ირჩევს მთავარ ინსპექტორსა და ინსპექტორებს წევრების ხმათა ორი-მესამედით.

უნდა აღინიშნოს, რომ სასამართლო სისტემის აქტის 42-ე მუხლის მოთხოვნების შესაბამისად, ყველა ინსპექტორისთვის (10) საერთო მოთხოვნას წარმოადგენს სამართლის სფეროში მინიმუმ 12 წლიანი გამოცდილება. 5 მათგანისთვის სპეციალური მოთხოვნაა რაიონულ დონეზე მოსამართლედ, პროკურორად ან გამომძიებლად მუშაობის 5 წლიანი გამოცდილება.

**პორტუგალია.** ინსპექტორები უნდა იყვნენ მოსამართლეები ან სასამართლო მოხელეები და უნდა ჰქონდეთ ფართო გამოცდილება - სააპელაციო სასამართლოს დონეზე - როგორც წესი, და, ასევე, ძალიან კარგი შეფასება. შერჩევის პროცედურა დაფუძნებულია პროფესიულ ცოდნასა და გამოცდილებაზე.

**ესპანეთი.** პორტუგალიის მსგავსად, ინსპექტორები აირჩევიან სასამართლო მოხელეებისა და მოსამართლეთა რიგებიდან ხმათა უმრავლესობით. მოკლე ბიოგრაფიები შეიტანება იუსტიციის გენერალურ საბჭოში განაცხადის ფორმასთან ერთად, და მოგვიანებით, თითოეულ კანდიდატთან ტარდება გასაუბრება, რომლის დროსაც საბჭო გამოსცემს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას.

## თავი 2. ინსპექციის სამსახურის მოწყობა

### 1. ინსპექციის სამსახურის მიზნები

#### ბულგარეთი

სასამართლოს სისტემის აქტის მიხედვით, ინსპექციამ:

1. უნდა შეამოწმოს სასამართლოთა, პროკურატურათა და საგამომიებო ორგანოთა ადმინისტრაციული საქმიანობა.
2. უნდა შეამოწმოს სასამართლოს პროგრესისთვის განხორციელებული ღონისძიებები, საბრალდებო და საგამომიებო საქმის მსვლელობა სასამართლოში, ასევე დადგენილ ვადებში განხილვები.
3. უნდა გაუკეთოს ანალიზი და შეაჯამოს საქმეები, რომლებიც განხილულ იქნა შესაბამისი სასამართლო აქტის ძალით, ასევე საქმის მასალები და თავად საქმეები, რომლებიც გაუნაწილდათ პროკურორებსა და გამომძიებელ მაგისტრატებს.
4. წინააღმდეგობრივი იურისდიქციის არსებობისას, რომელიც აღმოჩენილ იქნა საქმის განხილვის პროცესში მე-3 პარაგრაფის მიხედვით, ინსპექციის სამსახურის თანამშრომელმა უნდა გააფრთხილოს კომპეტენტური ორგანოები განმარტებითი გადაწყვეტილებებისა ან განმარტებითი დეკრეტების მოთხოვნის საჭიროებაზე.
5. ფუნქციების განხორციელებისას დარღვევების არსებობის შემთხვევაში, უნდა გააფრთხილოს შესაბამისი ორგანოს ადმინისტრაციული ხელმძღვანელი და იუსტიციის უმაღლეს საბჭო.
6. რეკომენდაცია გაუწიოს მოსამართლეებზე, პროკურორებსა და გამომძიებელ მაგისტრატებზე და სასამართლო სისტემის ორგანოთა ადმინისტრაციულ ხელმძღვანელებზე დისციპლინური სანქციების დაკისრებას.
7. სხვა სახელმწიფო ორგანოებს, მათ შორის კომპეტენტური სასამართლო სისტემის ორგანოების უნდა წარუდგინოს ინფორმაციები, რეკომენდაციები და ანგარიშები.
8. იუსტიციის უმაღლესი საბჭოსთვის წარსადგენას უნდა მოამზადოს თავისი საქმიანობის შესახებ ყოველწლიური პროგრამა და ანგარიში.
9. უნდა განიხილოს იუსტიციის მინისტრის მიერ შეთავაზებული სასამართლოს ბიუჯეტის პროექტი ინსპექციის საბიუჯეტო ნაწილთან დაკავშირებით და უნდა წარუდგინოს ის იუსტიციის უმაღლეს საბჭოს,
10. უნდა წარმოადგინოს ყოველწლიურად საჯარო ინფორმაცია და ანგარიშები მისი საქმიანობის შესახებ და გამოაქვეყნოს ის იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ვებგვერდზე.

## საფრანგეთი

სასამართლო სისტემის გენერალურ ინსპექციას აქვს სამი მთავარი ფუნქცია:

- სასამართლოების ფუნქციონირებისა და მათი საქმიანობის შეფასება;
- საჯარო პოლიტიკისა და სხვა თემების შესახებ თემატური მისიები;
- თანამშრომელთა ინდივიდუალურ ქმედებებზე ადმინისტრაციული საგამომიებო მისიები.

## იტალია

გენერალური ინსპექცია არის იუსტიციის სამინისტროს დეპარტამენტი, რომლის საქმიანობასაც წარმოადგენს სასამართლოს საქმიანობისა და ეფექტურობის სისტემატური მონიტორინგი, ასევე თანამშრომელთა (სასამართლოს თანამშრომელთა და მოსამართლეთა) ქმედებების შემოწმება.

### **პორტუგალია**

სასამართლოთა ინსპექცია ხორციელდება „სასამართლოს საქმიანობაში ზოგადი სიტუაციის, საჭიროებებისა და ხარვეზების შესახებ სრულყოფილი ცოდნის მიღების მიზნით, იმისათვის, რათა გატარებულ იქნას საჭირო ღონისძიებები ან შეთავაზებულ იქნას იუსტიციის მინისტრისათვის ქმედებები, რომელიც აღმასრულებელი ხელისუფლების კომპეტენციაში შედის“.

ინსპექციის პორტუგალიური სისტემა, მოსამართლეთა დამსახურებების შეფასების თვალსაზრისით, რეგულირდება შესაბამისი საბაზისო პრინციპით: „ინსპექციის სამსახური არ უნდა ჩაერიოს მოსამართლეთა დამოუკიდებლობაში, კერძოდ, გადაწყვეტილებათა შინაარსში. მან უნდა გამოიძიოს იმ ღონისძიებების იმპლემენტაციის საჭიროება, რომელიც გააუმჯობესებს საქმიანობას და უზრუნველყოფს მოსამართლეთა ყველა იმ ელემენტით, რომელიც აამაღლებს მათ ცნობიერებას. მან ასევე უნდა გამოიკვლიოს პროცედურების სისწორე, რომელიც მიზნად ისახავს გაუმჯობესებულ მოსამართლო საქმიანობის მიღებას უფრო ზუსტი პროცედურული და ადმინისტრაციული პრაქტიკის ჩვენებით, რომელიც უფრო სწრაფი მართლმსაჯულების ადმინისტრირების მიღებისთვისაა მიზანშეწონილი.“

### **ესპანეთი**

ინსპექციის სამსახური:

- ეცნობა სასამართლოებში არსებული სიტუაციის შესახებ ინფორმაციას;
- მხარს უჭერს და ეხმარება სასამართლოებსა და ტრიბუნლებს მენეჯმენტის გაუმჯობესებაში;
- ახორციელებს სასამართლოთა და ტრიბუნალების საქმიანობის მონიტორინგს.

ინსპექცია განახორციელებს ნებისმიერ საქმიანობას, რომელიც აუცილებელია, რათა შეფასდეს, როგორ ფუნქციონირებს სასამართლო და რამდენად ასრულებენ სასამართლოს თანამშრომლები მათზე დაკისრებულ ვალდებულებებს სხვადასხვა საკითხების სწრაფი და ეფექტური რეგულირების საჭიროების გათვალისწინებით.

მართლმსაჯულების ადმინისტრირების დროს მოსამართლეთა და სასამართლოს მიერ ნორმატიული აქტების ინტერპრეტაცია და გამოყენება არ შეიძლება გახდეს საინსპექციო ქმედებების კრიტიკისა და შესწორების საგანი.

## **2. კოორდინაცია**

## ბულგარეთი

სასამართლო სისტემის აქტის 54-ე მუხლის მეორე ნაწილის მიხედვით, ინსპექციამ რეზოლუცია წევრთა უმრავლესობით უნდა მიიღოს. მეორე მხრივ, 56-ე მუხლის მესამე ნაწილის შესაბამისად, ინსპექციის პროცედურა გენერალურმა ინსპექტორმა ორდერით უნდა განსაზღვროს.

სასამართლო სისტემის აქტის 54(2)-ე მუხლსა და 56(3)-ე მუხლს შორის წინააღმდეგობა არ არსებობს. მეორე მუხლი მხოლოდ პროცედურულ საკითხებს ეხება. გენერალურ ინსპექტორს აქვს ინსპექტირების ორდერის გამოცემის ვალდებულება. ძირითადი ინსპექციები (გეგმიური ან თემატური) ყოველწლიურ პროგრამაშია გაწერილი [მუხლი 54 (2).8]. ყოველწლიურად ამ პროგრამას ყველა ინსპექტორი ხმათა უმრავლესობით ამტკიცებს. ინსპექციამ (ყველა ინსპექტორმა) გადაწყვეტილება შეიძლება მხოლოდ ხმათა უმრავლესობით მიიღოს. ეს გადაწყვეტილებები საბოლოოა და დამტკიცებულია. პრაქტიკაში არსებობს შემთხვევები, როდესაც დისციპლინური სანქციების წინააღმდეგ მიცემული ხმაც მხედველობაში მიიღება და გენერალურ ინსპექტორს აქვს ამ გადაწყვეტილებათა გათვალისწინების ვალდებულება.

## საფრანგეთი

თანაშემწე გენერალური ინსპექტორები და ინსპექტორები, ეხმარებიან გენერალურ ინსპექტორს მისი ფუნქციების შესრულებაში და ექვემდებარებიან მის იერარქიულ და ფუნქციურ მმართველობას, მიუხედავად იმისა, რომ თანაშემწე გენერალური ინსპექტორები, რომლებიც გენერალური ინსპექტორის პირდაპირი მოადგილეები არიან, სარგებლობენ ფართო უფლებამოსილებით.

მიუხედავად იმისა, რომ, სასამართლო სისტემის გენერალური ინსპექციის ანგარიშები ხელმოწერილია გენერალური ინსპექტორის მიერ, აღნიშნული ანგარიშები ინსპექციის ყველა წევრის საქმიანობას მოიცავს. სხვა სიტყვებით, ინსპექტორების ანგარიშები პირდაპირ გადაეცემა გენერალური პროკურორიდან იუსტიციის მინისტრს.

## იტალია

გენერალური ინსპექცია 21 მოსამართლის (პრეზიდენტი, ვიცეპრეზიდენტი და არანაკლებ სააპელაციო სასამართლოს სამოსამართლო რანგის 19 მოსამართლე), 36 „ლიდერი“ ინსპექტორისა და 56 „ოფიციალური“ ინსპექტორისაგან შედგება.

## პორტუგალია

CSM-ის თავმჯდომარის და კომპეტენტური ორგანოების მხრიდან ინსპექციის სერვისსა და მის თანამშრომელთა შორის თანამშრომლობის გამარტივების მიზნით, ყოველ სამ წელიწადში ინსპექტორი (მოსამართლე) სხვა სასამართლო ინსპექტორებს შორის კოორდინატორ ინსპექტორად ინიშნება.

## ესპანეთი

ინსპექციის სამსახური იმართება სამსახურის ხელმძღვანელის მიერ. მთავარ სამმართველოში ყალიბდება საინსპექციო ერთეულები და სპეციალიზებული სექციები.

- **საინსპექციო ერთეულები.** არსებობს სამართლის თითოეული მიმართულების შესაბამისად შექმნილი 14 ერთეული. ზოგადი წესით, თითოეული ერთეული ფორმირდება მოსამართლე ინსპექტორისა და მდივანი ინსპექტორის მიერ.
- **სპეციალიზებული სექციები.** არსებობს ორი სექცია: ანგარიშების და მართვისა და ორგანიზაციის.

- ანგარიშების ორგანოს ეხება ზოგადად, მართლმსაჯულების მიმართ და კერძოდ, მოსამართლეთა ქმედებების მიმართ არსებული საჩივრებისა და სარჩელების მიღებისა და დამუშავების პროცესის წარმოება. ასეთი საჩივრები, ანგარიშები და სარჩელები დამუშავებული იქნება, როგორც წინასწარი ინფორმაცია და ინსპექციის სამსახურის ხელმძღვანელის სარეკომენდაციო ანგარიშში შევა. ყველა დოკუმენტი გადაეცემა იუსტიციის გენერალური საბჭოს დისციპლინურ კომიტეტს, რომელიც უფლებამოსილია, გადაწყვიტოს, თქვას უარი საჩივარზე ან ჩაატაროს დამატებითი გამოძიება ან სადისციპლინო ქმედებები.

- მართვისა და ორგანიზაციის სექცია მუშაობს საკითხებზე, რომელიც განაწილებულია მათთვის სამსახურის ხელმძღვანელის მიერ და, კერძოდ, ის საკითხები, რომლებიც გადაცემულია ინსპექციის სამსახურისთვის, რომელიც მოიცავს მოსამართლეებისა და მაგისტრანტი მოსამართლეების იურისდიქციული საქმიანობის შეფასებას.

კოორდინაციის გაღრმავება წარმოადგენს ინსპექციის სამსახურის ხელმძღვანელის მოვალეობას.

## 3. ინსპექციის ტიპები:

### ბულგარეთი

სასამართლოთა ინსპექცია ტარდება ჩვეულებრივი ინსპექციის მეშვეობით ან გაფრთხილების შემდეგ.

### საფრანგეთი

ინსპექციის ორი ტიპი არსებობს:

- ჩვეულებრივი ინსპექციები, რომლებიც წინასწარ დაგეგმილია გენერალური ინსპექტორის მიერ და რომელიც ამოწმებს როგორც სასამართლოს, ასევე სასამართლოს თანამშრომლებს;
- სასამართლოში გარკვეული ქმედების განხორციელების შედეგად ჩატარებული განსაკუთრებული ინსპექციები.

### იტალია

გენერალური ინსპექტორის ქმედებები შეიძლება იყოს გეგმიური ან რიგგარეშე. გეგმიური ინსპექციები რეგულარულად ტარდება ყოველ 3 წელიწადში ერთხელ. ასეთ ინსპექციებს ახორციელებს ინსპექტორთა გუნდი, რომელსაც ხელმძღვანელობს მოსამართლე და რომელიც შედგება „ლიდერი“ ინსპექტორებით, რომელთა რაოდენობა სამსახურის მნიშვნელობისა და მოცულობის გათვალისწინებით ცვალებადია.

სპეციალური ქმედებები მოიცავს გენერალური ინსპექციის თავმჯდომარის მიერ ინიცირებულ ინსპექციას 3 წლიანი ვადის დასრულებამდე. ეს მიზნად ისახავს ორგანოს ყველა საქმიანობის ან სასამართლო საქმიანობის ცალკეული სექტორის შემოწმებას.

ორივე შემთხვევაში, განსაკუთრებული ინსპექცია შეიძლება განხორციელდეს რამდენიმე მიზეზით: თავად სამსახურის შუამდგომლობით, ქვედა ინსტანციის მაკონტროლებელი სასამართლოების მოთხოვნით - მაგალითად სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარე ან გენერალური პროკურორი - , ან მოქალაქეთა მოთხოვნით, რომლებმაც წარადგინეს საჩივარი.

განსაკუთრებული ინსპექცია, ასევე, შეიძლება შეიცავდეს „ადმინისტრაციულ გამოძიებას“, რომლის ინიცირებასაც ახდენს მინისტრი. ის შეიძლება, ასევე, სასარგებლო იყოს მოსამართლეთა და სასამართლოს თანამშრომელთა დისციპლინური კონტროლის განმახორციელებელი იუსტიციის უმაღლესი საბჭოსთვის.

### პორტუგალია

ინსპექციების მიზნიდან გამომდინარე, ის შეიძლება ჩატარდეს როგორც მთლიანად სასამართლოზე, ასევე, ცალკეულ მოსამართლეებზე. ინსპექციის მიზნიდან გამომდინარე და სასამართლო ინსპექციის რეგულაციის ცვლილების შესაბამისად (3180/2008), სასამართლოთა ინსპექცია განხორციელდება შემაჯამებელი ვიზიტით, მაშინ როდესაც მოსამართლეთა ინსპექცია შეიძლება იყოს ჩვეულებრივი ან განსაკუთრებული.

- სასამართლოებში შემაჯამებელი ვიზიტი მიზნად ისახავს სასამართლოებში განრიგის შესრულების, ორგანიზებულობისა და ეფექტურობის, პროცედურული შუამდგომლობების, საქმეთა რეალური რაოდენობისა და საქმეთა განაწილების შესახებ სრული ინფორმაციის შეგროვებას. შესაბამისად, ყურადღება გამახვილდება

სასამართლოს ფუნქციონირების ხარვეზებსა და სისუსტეებზე და მოხდება იმ ღონისძიებების გატარების რეკომენდირება, რომელიც გააუმჯობესებს სასამართლოს ფუნქციონირებას;

- მოსამართლეთა ჩვეულებრივი ინსპექცია მიზნად ისახავს, რომ შეგროვდეს ინფორმაცია, თუ როგორ სრულდება მოსამართლეზე დაკისრებული მოვალეობები და, ასევე, ინფორმაცია მოსამართლის დამსახურებების შესახებ. შედეგად, CSM-ში შეიტანება რეკომენდაცია შესაბამისი კლასიფიკაციისათვის.
- მოსამართლეთა განსაკუთრებული ინსპექცია შეიძლება განხორციელდეს *ex officio* CSM-ის მიერ, მაშინ, როდესაც მოსამართლის საქმიანობა კლასიფიცირდა როგორც „კარგი“ და ბოლო შემოწმებიდან გასულია 2 წელი, ან თავად მოსამართლის მოთხოვნით, თუ ბოლო ჩვეულებრივი ინსპექციიდან გასულია 3 წელი.

## ესპანეთი

### ვიზიტების ტიპები

- გეგმიური საინსპექციო ვიზიტები
- შესაფასებელი ვიზიტები
- განსაკუთრებული (რიგგარეშე) ვიზიტები

## 4. ინსპექციათა სიხშირე:

### ბულგარეთი

ჩვეულებრივი ინსპექციები გათვალისწინებულია ყოველწლიური ინსპექციის პროგრამაში.

### საფრანგეთი

არ არსებობს პერიოდულობა.

### იტალია

თითოეული სასამართლო მოწმდება 3 წელიწადში ერთხელ გენერალური ინსპექციის თავმჯდომარის მიერ დამტკიცებული ყოველწლიური სამუშაო პროგრამის შესაბამისად.

### პორტუგალია

სასამართლოებისა და მოსამართლეების ინსპექცია, როგორც წესი, ტარდება ყოველ 4 წელიწადში ერთხელ.

გამონაკლისის სახით, მოსამართლის ინსპექცია შეიძლება ჩატარდეს საქმიანობის განხორციელებიდან 1 წლის შემდეგ.

## ესპანეთი

ინსპექციები ტარდება კვარტალში ერთხელ. თითოეულმა ორგანომ უნდა შესთავაზოს ინსპექციის ხელმძღვანელს კვარტალურად ინსპექციის ჩატარება, რომელიც უნდა დაამტკიცოს იუსტიციის გენერალურმა საბჭომ პლენარული სესიით. ამ მიზნით, საქმის არსიდან გამომდინარე აღნიშნული რეკომენდაცია უნდა შევიდეს შესაბამისი კვარტალური პერიოდის დაწყებამდე ერთი ან ორი თვით ადრე.

## 5. ინსპექციის პროცედურები

### ბულგარეთი

ინსპექციები ტარდება გენერალური ინსპექტორის ან ინსპექტორის მიერ, რომელთაც დახმარებას უწევენ ექსპერტები. გენერალური ინსპექტორი გამოსცემს ორდერს, რომლითაც რეგულირდება ინსპექციის პროცედურები. ყოველწლიურ პროგრამაში გათვალისწინებული ინსპექციები ტარდება ლოტოტრონის პრინციპით შექმნილი ჯგუფისგან, რომელიც შეიცავს ინსპექციის ოფიცერს, ასევე ექსპერტებს, რომლებიც მას დახმარებას უწევენ. ლოტოტრონის პრინციპით შერჩევას ახორციელებს გენერალური ინსპექტორი ყველა ინსპექტორის თანდასწრებით, ყოველწლიური პროგრამის შემუშავების შემდეგ.

ინსპექციებს, რომლებიც ტარდება გაფრთხილების შემდეგ, ატარებენ ინსპექციის ოფიცერი და ორი ექსპერტი, რომლებიც დანიშნულნი არიან ელექტრონული განაწილების სისტემის მეშვეობით შემთხვევითი შერჩევის პრინციპით ამგვარი გაფრთხილებების მიღების რიგითობის მიხედვით.

ინსპექციათა ჩატარებას განსაზღვრავს გენერალური ინსპექტორი ორდერით. აღნიშნულ ორდერში მითითებული უნდა იყოს:

1. სასამართლო სისტემის ორგანო, მოსამართლე, პროკურორი ან გამომძიებელი მაგისტრატო, რომლებზეც უნდა ჩატარდეს ინსპექცია, ინსპექციის მიზნები და ინსპექციის ჩატარების ვადები,
2. ინსპექციის ოფიცრის სახელი და გვარი,
3. ინსპექციის ოფიცრის დამხმარე ექსპერტების სახელები და გვარები,
4. ინსპექციის შედეგების შესახებ აქტის შედგენის ვადა.

ინსპექციის შედეგების შესახებ აქტი შეიცავს ინსპექციის შედეგად მიღებულ დასკვნებს, და როდესაც საჭიროა, რეკომენდაციებსა და მათი შესრულების ბოლო ვადას.

ინსპექციის შედეგების შესახებ აქტი გადაეცემა მაგისტრატს, რომლის საქმიანობაზეც ჩატარდა ინსპექცია, ასევე სასამართლო სისტემის ორგანოს შესაბამის ადმინისტრაციულ



ხელმძღვანელს. თითოეულ მათგანს შეუძლიათ აქტის გასაჩივრება გენერალურ ინსპექტორთან 7 დღის ვადაში.

აქტში მითითებულ ვადებში ადმინისტრაციულმა ხელმძღვანელმა გენერალურ ინსპექტორს უნდა მიაწოდოს ინფორმაცია რეკომენდაციების იმპლემენტაციის შესახებ.

სასამართლო სისტემის ორგანოს ადმინისტრაციული ხელმძღვანელები უნდა დაეხმარონ გენერალურ ინსპექტორსა და ინსპექტორებს მათი უფლებამოსილების შესრულებაში და უზრუნველყონ, რომ ჰქონდეთ წვდომა მათ მიერ მოთხოვნილ მასალებთან.

გენერალურმა ინსპექტორმა უნდა უზრუნველყოს ინსპექციის წარმოების ზოგადი ორგანიზაციული და მეთოდოლოგიური ხელმძღვანელობა შემდეგი საშუალებებით:

1. ინსპექციას წარუდგინოს და დანიშნოს მისი არყოფნის შემთხვევაში მისი უფლებამოსილების განმახორციელებელი პირი,
2. განკარგოს ინსპექციის ბიუჯეტი,
3. აკონტროლოს ინსპექტორთა საქმიანობა,
4. უზრუნველყოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ვებგვერდზე ინსპექციის შედეგების შესახებ ბიულეტენის გამოქვეყნება,
5. უზრუნველყოს ექსპერტებთან და ინსპექციის ადმინისტრაციის თანამშრომლებთან შრომითი ხელშეკრულებების დადება და შეწყვეტა,
6. უზრუნველყოს ინსპექტორთა და ინსპექციის ადმინისტრაციის თანამშრომელთა კვლავიკაციის ამაღლება.

გენერალური ინსპექტორი მონაწილეობას მიიღებს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სესიებში, მაგრამ არ შეუძლია ხმის მიცემის პროცესში მონაწილეობა.

## საფრანგეთი

სასამართლო სისტემის გენერალური ინსპექცია შეიძლება ამჟამად მხოლოდ იუსტიციის მინისტრის მიერ. ეს აბრკოლებს პრემიერ მინისტრის ან სხვა მინისტრების, MSC-ის ან სასამართლოთა თავმჯდომარეთა ჩარევას ინსპექციის პროცესში. სასამართლო სისტემის გენერალური ინსპექციას არ შეუძლია თავის თავზე ინიციატივის აღება.

იმისათვის, რომ უზრუნველყოფილი იყოს ანალიზის ობიექტურობა, თითოეული მისია უნდა ჩატარდეს ინსპექციის სამსახურის მინიმუმ 2 თანამშრომლის მიერ, გარდა სპეციალური გარემოებების არსებობისას. ინსპექტორებს არ შეუძლიათ იძულებითი ღონისძიებების განხორციელება. სასამართლო სისტემის გენერალური ინსპექციის წევრებმა „რესპუბლიკის პროკურორს დაუყოვნებლივ უნდა შეატყობინონ და მაგისტრატს გადასცენ ყველა ინფორმაცია, პროცედურების ჩანაწერები და აქტები“ იმ სამართალდარვევების შესახებ, რომელიც მათთვის ცნობილი გახდა გამოძიების პროცესში.

სასამართლო სისტემის გენერალური ინსპექცია თავისი ბუნებით ადმინისტრაციულია. სასამართლო სისტემის გენერალურმა ინსპექციამ პრაქტიკულ გამოცდილებაზე დაყრდნობით განავითარა მეთოდოლოგია ადმინისტრაციული გამოძიებისათვის. მისი

გამოძიებები ტარდება ეთიკური წესების სრული დაცვით, კერძოდ, ერთგულება, მიუკერძოებლობა და კონფიდენციალურობა, იურიდიული საქმიანობის დამოუკიდებლობის კონსტიტუციური პრინციპის პატივისცემა.

გამოძიების პროცესში მიღებული ელემენტების ანალიზი უნდა იყოს ამომწურავი, ზუსტი და ობიექტური. გენერალური ინსპექციის მოსაზრებები უნდა იყოს დასაბუთებული, და უნდა მოხდეს ნებისმიერი ხარვეზის იდენტიფიცირება, აღწერა და შეფასება. გენერალური ინსპექციას არ აქვს უფლება, გამოთქვას თავისი მოსაზრება დისციპლინური სამართალწარმოების დაწყების დადებით და უარყოფით მხარეებზე, ეს ფუნქცია ეკუთვნის იუსტიციის მინისტრს.

დამატებით, იუსტიციის მინისტრის მიერ საქმის მასალების შესწავლის გონივრული ვადის გასვლისას (დაახლოებით 6 თვე), თუ მან სხვანაირად არ განსაზღვრა, ანგარიში სასამართლო სისტემის გენერალური ინსპექციის მეშვეობით გადაეცემა DSJ-ს, რათა ეს ჩაიწეროს მაგისტრატის პერსონალურ საქმეში, და რათა ეცნობოს MSC-ს ან დაწინაურების კომისიას (Advancement Commission), თუ სიტუაცია მოითხოვს კომპეტენტური ორგანოს მიერ შემდგომ გამოკვლევას. ამჟამად სასამართლო სისტემის გენერალური ინსპექციის რეკომენდაციაა, რომ ჩამოყალიბდეს მაგისტრატის საქმიდან ამ დოკუმენტების ამოღების შესახებ პროცედურები, ამ პირის მოთხოვნის საფუძველზე.

## იტალია

გენერალური ინსპექციის საქმიანობა ადმინისტრაციული ბუნებისაა და მოიცავს ტექნიკურ კონტროლს. შესაბამისად, ინსპექციას არ აქვს ინტერვენციის უფლებამოსილება იმ ორგანოს საქმიანობასთან დაკავშირებით, რომლის ინსპექტირებასაც ახდენს. მეორე მხრივ, თუ ჩვეულებრივი ან განსაკუთრებული ინსპექციის დროს სერიოზული ხარვეზები დაფიქსირდება, ინსპექტორებმა დაუყოვნებლივ უნდა მიმართონ უზენაეს სასამართლოს.

როდესაც ინსპექტორებს უწევთ სახელმწიფო ხაზინის მართვასთან, ან მოსამართლეთა და სასამართლოთა არასათანადო ქმედებებთან შეხება, რომელიც შეიძლება იყოს დისციპლინური ან სისხლისსამართლებრივი ხასიათის, რომელიც ღირს შესწავლად, უფროსი ინსპექტორი ამის შესახებ პირდაპირ ატყობინებს გენერალური ინსპექციის თავმჯდომარეს, რათა მან შეისწავლოს საქმე.

ინსპექციის ბოლოს, ინსპექციის თითოეული ჯგუფი ადგენს გენერალური ინსპექციისადმი მიმართულ ანგარიშს. ყველა ასეთი ანგარიში გროვდება ერთ მთლიან „ინსპექციის ანგარიშში“, წინასწარ ჩამოყალიბებული მოდელის მიხედვით, რათა მოხდეს ეროვნულ დონეზე ერთგვაროვანი გადახედვა.

ინსპექციის ანგარიშებს განიხილავენ გენერალური ინსპექციის მოსამართლეები, რათა შემდგომ ინსპექციის ჯგუფების მიერ წარმოდგენილი ინფორმაცია გადასცენ იუსტიციის სამინისტროს, რომელიც გადაწყვეტს საჭირო ღონისძიებების გატარების აუცილებლობას.

### **პორტუგალია**

როდესაც საქმე ეხება ინსპექტირების ჩატარებას, ინსპექტორმა ყველა შემთხვევაში უნდა გამოიყენოს საგამოძიებო საშუალებები. როდესაც საქმე ეხება მოსამართლის დამსახურებებს, ინსპექტორმა უნდა გამოიყენოს შეფასების ის კრიტერიუმები, რომლებიც გაწერილია ინსპექციის მარეგულირებელ რეგულაციებში, თუმცა ეს კრიტერიუმები არ არის ამომწურავი.

მოსამართლეთა შეფასებასთან დაკავშირებით, ინსპექციის დასრულების შემდეგ სასამართლო ინსპექტორის მიერ მომზადდება იქნება სპეციალური ანგარიში, რომელიც გადაეგზავნება მაგისტრატთა უმაღლეს საბჭოს (CSM). ეს ანგარიში მანამდე უნდა გადაეცეს ინსპექტირებულ მოსამართლეს, რათა მას ჰქონდეს უფლება, გამოთქვას მოსაზრებები ან წარადგინოს მტკიცებულებები.

CSM-ი გააკეთებს ერთ-ერთ ასეთ შეფასებას: ძალიან კარგი, დამაკმაყოფილებელი ან არადამაკმაყოფილებელი.

თუ მოსამართლის საქმიანობა შეფასებულია როგორც *არადამაკმაყოფილებელი*, მოსამართლის უფლებამოსილება შეჩერდება და დაიწყება გამოძიება ვალდებულებების სავარაუდო შეუსრულებლობის შესახებ.

თუ შესაბამისი მოსამართლე არ ეთანხმება მინიჭებულ შეფასებას, მას შეუძლია შეიტანოს საჩივარი CSM-ის მუდმივმოქმედ კომიტეტში. თუ უარი ეთქმევა, საბოლოო გადაწყვეტილება მიიღება CSM-ის მიერ პლენარული სესიით.

ამ გადაწყვეტილების გასაჩივრება შეიძლება უზენაესი სასამართლოს სპეციალურ სექციაში.

### **ესპანეთი**

#### **მორიგი (ჩვეულებრივი) საინსპექციო ვიზიტები**

მიზნები: სასამართლო ორგანოს საქმიანობის ყოველმხრივი შემოწმება

- იუსტიციის გენერალურ საბჭოში ინფორმაციის გადამოწმება;
- მართვის სტანდარტების შესაბამისობის მონიტორინგი, როგორც ხარისხობრივი, ასევე რაოდენობრივი;
- ორგანოს ორგანიზებულობისა და მუშაობის შეფასება. ხარვეზების გაუმჯობესებისთვის რეკომენდაციების შემუშავება.

ეტაპები:

### *წინასწარი ეტაპი*

- ორგანოების შერჩევა, სადაც განხორციელდება ვიზიტები;
- ტრიმესტრის გეგმის დამტკიცება;
- უმაღლესი რეგიონული სასამართლოების თავმჯდომარეთათვის შეტყობინება ინსპექციის ჩატარების თაობაზე;
- სამუშაო განრიგი.

### *პირველი ეტაპი: ინსპექციის მომზადება*

- იმ ორგანოსგან ინფორმაციის მოთხოვნა, სადაც უნდა ჩატარდეს ინსპექცია. ამ ორგანოსთვის და სხვა ადმინისტრაციებისთვის შეტყობინება;
- იუსტიციის გენერალურ საბჭოში არსებული ინფორმაციის კომპილაცია;
- ინფორმაციის გაანალიზება. ანგარიშის პროექტის მომზადება;
- საადვოკატო ასოციაციებისთვის შეტყობინება.

### *მეორე ეტაპი: საინსპექციო ვიზიტის განხორციელება*

- თავდაპირველი კონტაქტი. პირველი გასაუბრებები;
- პროცედურული საქმიანობის ანალიზი. ხარისხი და რაოდენობა
  - სამუშაოს მოცულობა. კრიტერიუმები.
  - სამართალწარმოების ხანგრძლივობის ანალიზი
  - პროცედურული ხარვეზების ანალიზი.
  - დასაბუთებულობის პრინციპების ანალიზი.
  - საქმიანობის ეფექტურობის ანალიზი.
  - პროცედურული საქმიანობის ტექნიკური მართვა;
- სასამართლოს ანალიზი (თანამშრომლები, სამუშაოს განაწილება, ინფორმაციული ტექნოლოგიები, ტექნოლოგიური საშუალებები, საქმეთა მართვის სისტემა, ანგარიშები, ბრალდებულებთან ურთიერთობა, სასამართლოს მენეჯმენტი);
- სამართალწარმოების შერჩევა (შერჩევა, მონაცემების მართვა, მიღებული ინფორმაციის ანალიზი);
- გასაუბრებები: სასამართლო ორგანოს ხელმძღვანელთან და თანამშრომლებთან;
- პირდაპირი შესწავლა: ბრალდებულებთან ურთიერთობა, სამსახურში საქმეთა განაწილება, ტექნიკური საშუალებები და დოკუმენტაციის მართვა, სამართალწარმოების ტექნიკური მენეჯმენტის ეფექტური მართვა.

### *მესამე ეტაპი: ანგარიშების შედგენა*

- მთავარი შემადგენელი ნაწილები: ზუსტი ინფორმაცია, სტანდარტების შესრულების მონიტორინგი, დახმარების გაწევა, რათა გაუმჯობესდეს ორგანოს საქმიანობა;
- ინსპექტირებული სასამართლო ორგანოში არსებული სიტუაცია;

- პროცედურული საქმიანობების ანალიზი და დასკვნები;
- სასამართლოს ანალიზი და დასკვნები;
- დასკვნები და რეკომენდაციები. სამოქმედო გეგმები. თანდართული დოკუმენტები.

მეოთხე ეტაპი: შედეგების შეფასება და შეჯამება (follow-up)

- შეფასებები Follow-up
- შესაფასებელი ვიზიტები
- ანგარიშები
- განვითარების შესწავლა.

### შესაფასებელი ვიზიტები

**მიზნები:** სასამართლოთა ფუნქციონირებისა და სამართალწარმოების სპეციფიკური ასპექტების შესახებ ინფორმაციის შეგროვება.

#### ქმედებები

- სპეციფიკური მონაცემების გადამოწმება;
- სპეციფიკური პრობლემების შესწავლა, რომლებსაც გავლენა აქვს ერთ ან რამდენიმე ორგანოზე.
- სფეციფიკური ხარვეზების შესწავლა, რომელსაც გავლენა აქვს ერთ ან რამდენიმე სპეციფიკურ სფეროზე და რეკომენდაციების შემუშავება მათი გამოსწორების მიზნით.

### განსაკუთრებული ვიზიტები

მტკიცდება იუსტიციის გენერალური საბჭოს მუდმივმოქმედი კომიტეტის ან პლენარული სესიის მიერ, მიზნად ისახავს განსაკუთრებული ფაქტების გადამოწმებას და მათთან დაკავშირებით რეკომენდაციების შემუშავებას.

## თავი 6. საგამოძიებო პროცედურა

აღნიშნულ პროცედურაში მონაწილეობა ხელისუფლების ბევრ ორგანოს შეუძლია: კონკრეტულ კომისიებს, ადმინისტრაციის უფროსებს<sup>1</sup>, საგამოძიებო დანაყოფებს ან სასამართლო სისტემის ინსპექციას. სახელმწიფოების უმრავლესობამ საგამოძიებო პროცედურების წარმართვა სასამართლოს ინსპექტორს მიანდო: ესპანეთმა, ინგლისმა და უელსმა, იტალიამ და ბულგარეთმა. ინგლისსა და უელსში დისციპლინის დარღვევასთან დაკავშირებულ ეჭვთან მიმართებით გამოძიებას სისხლისსამართლებრივი დევნის

<sup>1</sup> რუმინეთში, სავალდებულო გამოძიება შეიძლება წარმართოს საკასაციო სასამართლოს თავმჯდომარემ, მთავარმა პროკურორმა ან იუსტიციის მინისტრმა.

სამსახური ხელმძღვანელობს. ესპანეთში დისციპლინური ორგანოების წინაშე წარდგენილი ბრალდების თაობაზე გამოძიებას იუსტიციის გენერალური საბჭო ხელმძღვანელობს. ბულგარეთში იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ინსპექცია წარადგენს წინადადებებს მოსამართლეთათვის, პროკურორებისათვის და მაგისტრატებისათვის დისციპლინური სანქციების დაკისრების შესახებ.<sup>2</sup>

თუმცა, საფრანგეთში, იუსტიციის მინისტრის მიერ არჩეული სასამართლო სისტემის გენერალური ინსპექტორი შესაძლოა, დაემორჩილოს იუსტიციის მინისტრის ექსკლუზიურ გადაწყვეტილებას, მოსამართლეების ან პროკურორების მიერ დისციპლინის დარღვევის თაობაზე გამოძიების ჩატარების შესახებ. საკასაციო სასამართლოს თავმჯდომარე, როგორც დისციპლინური საბჭოს თავმჯდომარე, ნიშნავს სადისციპლინო კომისიის წევრს, რომელიც, საჭიროების შემთხვევაში, გამოძიებაზე იქნება პასუხისმგებელი.

### 1. ინსპექტორის პროფესიული გამოცდილება

ინსპექტორის პროფესიული გამოცდილების გათვალისწინებით, ისინი, როგორც წესი, შეირჩევიან იმ ადამიანებიდან, რომელთაც სასამართლო მენეჯმენტში აქვთ გამოცდილება (მოსამართლეები ან სასამართლოს თანამშრომლებს). მიუხედავად ამისა, არსებობს შემთხვევები, როდესაც იმ იურიდიული პროფესიის მქონე პირებს, რომელიც არ არის დაკავშირებული სასამართლოსთან, უფლება აქვს განახორციელონ მსგავსი ფუნქციები, თუმცა აღნიშნული შეუსაბამოა მომსახურების ეფექტურობასთან, რამდენადაც ამ პროფესიებს არ აქვთ სასამართლოს ფუნქციონირებასთან დაკავშირებული სპეციფიკური ცოდნა.

### 2. დანიშვნის პროცედურები

რაც შეეხება დანიშვნის პროცედურებს, სხვადასხვა ქვეყნებში სხვადასხვა პრაქტიკაა. არის ქვეყნები, სადაც მოქმედებს მაღალი ხარისხის დისკრეცია, ხოლო სხვა ქვეყნებს ამ პროცედურების მომწესრიგებელი მკაცრი წესები აქვთ.

ყველა სისტემა უნდა იყოს მაქსიმალურად გამჭვირვალე, ორიენტირებული კანდიდატების ხარისხისა და შესაძლებლობების ამაღლებაზე.

ორგანიზაციული თვალსაზრისით, სისტემათა უმრავლესობას იერარქიული სტრუქტურა გააჩნია.

<sup>2</sup> 2007 წლის აქტი სასამართლო სისტემის შესახებ, მე-3 თავი, მე-3 ნაწილი ინსპექტორის უფლებამოსილება: მუხი 54.

### 3. დისციპლინური პასუხისმგებლობა

#### ა. დისციპლინური ღონისძიების განხორციელების უფლებამოსილება

ძირითადი განსხვავება შეიძლება იმ ქვეყნებს შორის განისაზღვროს, სადაც იუსტიციის მინისტრი დისციპლინური სამართალწარმოების წარმართვაში მნიშვნელოვან როლს თამაშობს და სადაც ის არ არის ჩართული ამ პროცესში.

ევროპულ მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭოს ნომ. 3 მოსაზრება (Opinion) იმ პრინციპებსა და წესების შესახებ, რომლებიც მოსამართლეების პროფესიულ ქცევას, კერძოდ, ეთიკას, შეუფერებელ ყოფაქცევასა და მიუკერძოებლობას აწესრიგებენ, ამ საკითხებს 68-ე პუნქტის მიხედვით წყვეტს. ევროპულ მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭო მიიჩნევს, რომ დისციპლინური მოქმედების დაწყება დიდ ფორმალობას საჭიროებს. ის გასცემს რეკომენდაციას, რომ ქვეყნებმა კონკრეტული ორგანო ან პირი იმ უფლებამოსილებებით აღჭურვონ, რომლებიც უკავშირდება საჩივრების მიღებას, შესაბამისი მოსამართლის წარმოდგენას და მოსამართლის წინააღმდეგ დისციპლინური მოქმედების დასაწყებად საკმარისი საფუძვლების არსებობის დადგენას, რა შემთხვევაშიც, აღნიშნული ორგანო ამ საკითხს დისციპლინური ორგანოს წინაშე წარადგენს.

ამ კუთხით, რუმინეთის სამართლებრივი დებულებები კარგად არის დაბალანსებული.

#### ბ. სანქციების დაკისრების უფლებამოსილება

შედარებისას, განსხვავება შესაძლებელია გაკეთდეს იმ სისტემებს შორის, სადაც სანქციათა დაკისრების უფლებამოსილება სასამართლოს ეკუთვნის და რომელიც ამ უფლებას სპეციალურ ადმინისტრაციულ ორგანოს ანიჭებს. მაგალითად, ლუქსემბურგში, დღესდღეისობით, დისციპლინური საკითხები იუსტიციის მინისტრის კომპეტენციას წარმოადგენს, რისი შეცვლის საჭიროებაზეც მიუთითებს ლუქსემბურგის მაგისტრატა გაერთიანება.

ზემოაღნიშნული მოსაზრების 71-ე პარაგრაფის საფუძველზე, ნებისმიერი მოსამართლის წინააღმდეგ დისციპლინური პროცედურების დაწყების თაობაზე გადაწყვეტილება მხოლოდ დამოუკიდებელი ორგანოს (ან ტრიბუნალი) მიერ უნდა იქნეს მიღებული. ასევე მიჩნეულია, რომ დამოუკიდებელი ორგანოს ან ტრიბუნალის არჩევაზე პასუხისმგებელი პირი დამოუკიდებელი უნდა იყოს (სხვა მოსამართლეების მიერ დემოკრატიულად არჩეული), როგორც მოცემულია ევროპულ მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭოს პირველი მოსაზრების 46-ე პარაგრაფში. აღნიშნული, არ აბრკოლებს დისციპლინური ტრიბუნალის შექმნას არამოსამართლე პირებისაგან (ამგვარად კორპორატივიზმის რისკი თავიდან იქნება აცილებული).

მსგავსი ჯგუფი გამოდის ინიციატივით, რომ სისტემა შეესაბამებოდეს ევროკავშირის პროცედურულ სტანდარტებს, რათა ბრალდებული მოსამართლეები სარგებლობდნენ

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი პარაგრაფიდან (სამართლიანო სასამართლოს უფლება) მუხლიდან გამომდინარე ყველა გარანტიით, რომელიც სულ მცირე შემდეგი პროცედურული გარანტიების დაცვას მოითხოვს:

- დისციპლინური წარმოების დაწყებისთანავე, მოსამართლეს უფლება აქვს გაეცნოს საქმეს და წინასწარი გამოძიების მასალებს, თუკი ჩატარდა ამგავრი გამოძიება;
- ბრალდებულ მოსამართლეს აქვს ადვოკატის დახმარების მიღების უფლება;
- შეჯიბრებითობის პრინციპი ასევე დაცული უნდა იყოს. ბრალდებულ მოსამართლეს საკუთარი ახსნა-განმარტებებისა და დაცვის პოზიციის წარდგენის შესაძლებლობა უნდა ჰქონდეს;
- საქმის განხილვა უნდა იყოს საჯარო; გადაწყვეტილების მიღებისას დაცული უნდა იქნას გადაცდომის სერიოზულობის პროპორცია, გადაწყვეტილება დასაბუთებული უნდა იყოს და საჯაროდ უნდა გამოცხადდეს;
- დისციპლინური გადაწყვეტილებების წინააღმდეგ უნდა არსებობდეს სასამართლო სამართლებრივი დაცვის საშუალებები. გასაჩივრება უნდა განხორციელდეს უმაღლეს ეროვნულ სასამართლოებში.

იუსტიციის საბჭოს მიერ დისციპლინურ საკითხებზე მიღებული გადაწყვეტილებებთან დაკავშირებით, ევროპულ მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭოს მე-10 მოსაზრების 39-ე პარაგრაფი ხაზს უსვამს, რომ ამგვარი გადაწყვეტილებები უნდა შეიცავდეს მისი მიღების საფუძვლების დასაბუთებას, უნდა ჰქონდეს სავალდებულო ძალა და უნდა ექვემდებარებოდეს სასამართლო გადასინჯვას. რასაკვირველია, იუსტიციის საბჭოს დამოუკიდებლობა არ ნიშნავს იმას, რომ ის სამართლის ფარგლებს გარეთაა და თავისუფლდება სასამართლო ზედამხედველობისგან.

მეორე მხრივ, ევროპულ მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭოს მე-10 მოსაზრების 63-ე პარაგრაფის მიხედვით, იუსტიციის მინისტრს ან პოლიტიკური ძალის სხვა ნებისმიერ წარმომადგენელს არ შეუძლიათ დისციპლინურ სამართალწარმოებაში მონაწილეობის მიღება.

#### **გ. დისციპლინური გადაცდომების კლასიფიკაცია**

დისციპლინური გადაცდომების კლასიფიკაცია არ არის ზოგადი წესი. ყველა შეფასებული ქვენიდან კლასიფიკაციის სისტემას მხოლოდ სლოვენია და ესპანეთი ეყრდნობა. ლუქსემბურგში, 1980 წლის 7 მარტის კანონის მიხედვით, სასამართლო ფუნქციების განხორციელებისას ან მის გარეშე ჩადენილი ნებისმიერი ქმედება, რომელსაც სამართლიანობის იმიჯის შელახვა შეუძლია, სახელს უტეხს მაგისტრატი მოსამართლეების რეპუტაციას, იწვევს სკანდალს და აზიანებს კარგ ტრადიციებსა და სამართლიანობისათვის



სამსახურს, ისევე როგორც სამოსამართლო ვალდებულებების შეუსრულებლობა, შესაძლებელია მიჩნეულ იქნეს დისციპლინურ გადაცდომად. ამ ღია განმარტებების ფონზე, ლუქსემბურგის მაგისტრატა გაერთიანება გამოდის ინიციატივით, რომ შეიქმნას დისციპლინური გადაცდომების მკაფიო განსაზღვრებები, რაც შესაბამისი იქნება სამართლებრივი განსაზღვრულობის პრინციპთან. გადაცდომათა კლასიფიკაცია, მათი სერიოზულობის მიხედვით, დაკავშირებული უნდა იყოს შესაბამისი სანქციათა კლასიფიკაციასთან. აღნიშნული კლასიფიკაცია დაკავშირებულია პროპორციულობის პრინციპის გამოყენებასთან (ევროპელ მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭოს მე-3 მოსაზრება). გაერთიანება წუხს, რომ ეს იდეები არ იყო შეთავაზებული არც იუსტიციის მინისტრის და არც სასამართლო მედიატორის მიერ.

მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული უფრო მეტად სანქციებს უკავშირდება, ვიდრე გადაცდომებს, ევროპელ მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭოს მე-3 მოსაზრების 74-ე პარაგრაფი ხაზს უსვამს იმის საჭიროებას, რომ თითოეულმა სასამართლომ საკუთარი დისციპლინური სისტემის მიხედვით ნებადართული სანქციები დაადგინონ და რომ ამგვარი სანქციები, როგორც ზოგადად, ისე გამოყენებისას, პროპორციული უნდა იყოს.

აღწერილი საერთაშორისო შედარებითი კრიტერიუმების მიუხედავად, ივარაუდება, რომ რუმინეთი ამგვარ სისტემას ქმნის. ამის მთავარი მიზეზი არის ის, რომ სანქციათა დაკისრების პროპორციულობის განსაზღვრა უფრო გამარტივდება. მაგალითად, თუკი სახეზეა 6 ტიპის სანქცია, შესაძლებელია სანქციათა სამი ჯგუფის შექმნა, სადაც 1-ლი და მე-2 სანქცია მსუბუქი გადაცდომებისათვის იქნება განკუთვნილი; მე-3 და მე-4 სერიოზული გადაცდომებისათვის და მე-5 და მე-6 კი ძალიან სერიოზული გადაცდომებისათვის.

აღნიშნული კლასიფიკაცია მნიშვნელოვნად შეამცირებს მსგავსი საქმეების განსხვავებულად გადაწყვეტის რისკს, რადგან მსუბუქი გადაცდომა აღარასდროს დაისჯება მე-3 და მე-6 სანქციებს შორის არსებული სანქციებით.

#### **დ. სანქციათა სიმკაცრის განმსაზღვრელი კრიტერიუმები**

მაშასადამე, სანქციათა პროპორციული გამოყენება ძირითადი მოთხოვნაა. თითოეული ქვეყანა გამოსაყენებელი სანქციის სიმკაცრის განსაზღვრისათვის გარკვეულ კრიტერიუმებს მისდევს. განსხვავება, ამ კუთხით, არც ისე დიდია. მიუხედავად ამისა, როგორც უკვე აღინიშნა, ის ქვეყნები, რომელთა სამართლებრივი სისტემა გადაცდომათა ხარისხობრივ დიფერენციაციას ახდენს, ცდილობს დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებს შემცირებასა და სამართლებრივი განსაზღვრულობის გარკვეული ხარისხის უზრუნველყოფას.

ეჭვგარეშეა, რომ ერთიანი კრიტერიუმი უმნიშვნელოვანესია საბოლოო სასამართლო განხილვის სისტემის ჩამოსაყალიბებლად, რომელიც დაადგენს ერთიან კრიტერიუმებს და, აქედან გამომდინარე, თავიდან აირიდებს წინააღმდეგობრივ პრაქტიკას.

### ე. საჩივრების შესწავლა საქმის არსებითი განხილვის გარეშე

ევროპელ მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭო მე-3 მოსაზრების 67-ე პარაგრაფში მიიჩნევს, რომ ფილტრის არსებობა აუცილებელია. სხვაგვარად, შესაძლოა, რომ მოსამართლეები იმედგაცრუებულ მხარეთა მიერ წამოწყებული მუდმივი დისციპლინური სამართალწარმოების წინაშე აღმოჩნდნენ. როგორც წესი, ამგვარი ბუნების მქონე საჩივრები შესაძლებელია, რომ უარყოფილ იქნეს შემდგომი განხილვის გარეშე.

მიუხედავად ამისა, მინიმალური პროცედურული მოთხოვნა აუცილებელია. აღნიშნული არ ნიშნავს იმას, რომ რუმინეთის მსგავსად, ნებისმიერმა საჩივარმა, მიუხედავად მისი აშკარა შეუსაბამობისა, სამართალწარმოების დაწყება განაპირობოს. გონივრული პროცედურა უნდა შედგებოდეს შიდა მონაცემთა შეგროვების, საჩივრის საფუძვლიანობისა ან უსაფუძვლობის თაობაზე ანგარიშისა და მისი მთლიანი უარყოფის ან მიღებისაგან.

### ვ. სასამართლო გადაწყვეტილების შინაარსთან დაკავშირებული საჩივრების განხილვა

აღნიშნულ საკითხთან მიმართებით ყველა განხილული სისტემა ერთსულოვანია. ამ სახის საჩივრები შეიძლება იქნეს უარყოფილი იქნეს საქმის შემდგომი განხილვის გარეშე. მიუხედავად ამისა, ბევრ სისტემაშია შესაძლებელი მაგისტრატების მიერ პროცედურული წესების სერიოზული და წინასწარგანზრახული დარღვევა, ან საერთოდ დაუსაბუთებელი გადაწყვეტილების არსებობისას დისციპლინური პროცედურის წარმოება, რაც ევროპელ მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭოს მე-10 მოსაზრების 63-ე პარაგრაფის შესაბამისია: მოსამართლეს, რომელიც სიზარმაცის გამო გულმოდგინედ არ შეისწავლის საქმეს ან რომელიც საქმეთა განხილვისას აშკარად არაკომპეტენტურია, უნდა დაეკისროს დისციპლინური პასუხისმგებლობა. მიუხედავად ამისა, ევროპელ მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭოს 1-ლი მოსაზრების 69-ე პარაგრაფის საფუძველზე, სასამართლო ინსპექციის სისტემები, იმ ქვეყნებში სადაც ისინი არსებობენ, არ უნდა ეხებოდნენ საქმის არსებით მხარეს ან გადაწყვეტილებათა სისწორეს.

### ზ. ქვეყნის სტანდარტების დარღვევა

ზოგიერთ ქვეყანაში, ეთიკის კოდექსის უბრალო დარღვევა დისციპლინურ გადაცდომას წარმოადგენს. აღნიშნული ეწინააღმდეგება სამართლებრივი განსაზღვრულობის პრინციპს. მართლაც, როგორც ევროპელ მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭომ მე-3 მოსაზრების მე-60 პარაგრაფის საფუძველზე განაცხადა, არასწორია პროფესიული სტანდარტების დარღვევის გათანაბრება არასათანადო საქციელთან, რომელიც პოტენციურად დისციპლინურ სანქციებს აძლევს დასაბამს. პროფესიული სტანდარტები საუკეთესო პრაქტიკას წარმოადგენენ, რომლებიც ყველა მოსამართლემ უნდა განავითაროს და რომლისკენაც ყველა მოსამართლე უნდა ისწრაფვოდეს. მათი არასათანადო ქმედებასთან გაიგივება დააბრკოლებს ამგვარი სტანდარტების სამომავლო განვითარებას, აგრეთვე, მათი მიზანი არასწორად იქნება გაგებული. იმისათვის რომ გამართლებული იყოს დისციპლინური სამართალწარმოება,

არასათანადო ქცევა სერიოზული და საშიში უნდა იყოს და ადგილი უნდა ჰქონდეს პროფესიული სტანდარტების დაცვის დარღვევას.

რუმინეთში ეთიკის კოდექსის დარღვევა შედეგებს მხოლოდ შეფასების ეტაპზე იწვევს. აღნიშნული მისაღებად მიიჩნევა, თუნდაც, სამართლებრივ სისტემაში პროცედურული გარანტიები მკაფიოდ არ იყოს დადგენილი. ცვლილებები უნდა განხორციელდეს, რათა უზრუნველყოფილი იყოს უფრო ცხადი სამართლებრივი დაცვის საშუალებები, რომლებიც მიმართული იქნება როგორც ეთიკური წესების დარღვევის, აგრეთვე, პერიოდული შეფასებებისაკენ; აღნიშნული პერიოდული შეფასებები ზემოაღნიშნული ეთიკის ნორმების დარღვევის შესახებ დეკლარაციას მხედველობაში მიიღებენ.

### **თ.ჩანაწერები დისციპლინური სანქციების შესახებ**

ზოგადად, დისციპლინური გადაწყვეტილებები მოსამართლის პირად საქმეში ინახება. განსხვავებები იკვეთება ამ ჩანაწერების გარკვეული პერიოდის შემდეგ წაშლასთან დაკავშირებით. ზოგიერთი ქვეყანა მიიჩნევს, რომ ჩანაწერი არ უნდა წაიშალოს. სამართლებრივი განსაზღვრულობის გასაძლიერებლად, გამოთქმულია ინიციატივა, რომ ჩანაწერი გარკვეული დროის გასვლის შემდეგ უნდა წაიშალოს, იმის გათვალისწინებით, რომ მაგისტრატის მიერ ახალ დისციპლინურ გადაცდომას ადგილი არ ჰქონია.

## **თავი 4. დისციპლინური პასუხისმგებლობა**

### **1. დისციპლინური ღონისძიებების დაწყების უფლება**

ზემოთ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით არსებობს, მრავალი განსხვავებული აზრი. ძირითადი განსხვავება, არის იუსტიციის მინისტრის უფლებამოსილების ფარგლები დისციპლინური ღონისძიებების გატარებისას.

- ქვეყნების სადაც მინისტრი მონაწილეობას იღებს სადისციპლინო ღონისძიებების გატარების პროცესში.

ბულგარეთში, ჩეხეთში, დანიაში, საფრანგეთში, ლატვიაში, პოლონეთსა და სლოვენიაში, იუსტიციის მინისტრს ენიჭება მეტ-ნაკლები როლი ზემოთ ხსენებულ პროცედურებში.

**ბულგარეთი:** მაგისტრატის წინააღმდეგ დისციპლინური პროცედურების დაწყების, ინიცირების, უფლება გააჩნია: შესაბამის ადმინისტრაციულ ხელმძღვანელს, ზემოდგომი სასამართლოს ადმინისტრაციულ ხელმძღვანელს, იუსტიციის უმაღლეს საბჭოს არანაკლებ 1/5 შემადგენლობით და იუსტიციის მინისტრს.

**ჩეხეთი:** უზენაესი სასამართლოს მოსამართლის წინააღმდეგ დისციპლინური ღონისძიებების დაწყების შესახებ წინადადების წამოყენება შეუძლიათ; რესპუბლიკის პრეზიდენტს,

იუსტიციის მინისტრს, უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეს. ქვემდგომი სასამართლოს მოსამართლის წინააღმდეგ- უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარესა და უშულოდ ქვემდგომი სასამართლოს თავმჯდომარეს. რეგიონალური სასამართლოს მოსამართლის წინააღმდეგ- რეგიონალური სასამართლოს თავმჯდომარეს.

**დანია:** დისციპლინური დევნის დაწყების შესახებ ინიციატივის წამოყენების უფლება აქვს იუსტიციის მინისტრს, ასევე ნებისმიერ პირს, რომელიც აღმოაჩენს დარღვევას მოსამართლის ქმედებაში. მაგალითისათვის გახმაურებულ საქმეზე, რომელის ტრანსლირებაც ხდება ტელევიზიით, მოსამართლის მიერ შესაძლო დაღვევის შემთხვევაში მის წინააღმდეგ დისციპლინარული დევნის ინიცირების უფლება გააჩნია ნებისმიერ პირს, რომელიც აღმოაჩენს შესაძლო დარღვევას.

**საფრანგეთი:** თავდაპირველად, მოსამართლეთა წინააღმდეგ დისციპლინური დევნის დაწყების უფლება გააჩნდა მხოლოდ იუსტიციის მინისტრს, შემდგომ იუსტიციის საბჭოს გადაწყვეტილებით, სააპელაციო და საქალაქო სასამართლოების მოსამართლეების წინააღმდეგ დისციპლინური პროცედურების დაწყების უფლება მიენიჭათ სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარეს. ასევე მოქალაქეებსაც გააჩნიათ უფლება, რომ მიმართონ იუსტიციის უმაღლეს საბჭოს, მოსამართლის მხრიდან შესაძლო დარღვევების შესახებ.

**ლატვია:** დისციპლინური დევნის ღონისძიებების ინიცირების უფლება გააჩნიათ, იუსტიციის მინისტრს, უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეს, სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარეს და საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარესთან ერთად. მოცემულ შემთხვევაში მნიშვნელობა ენიჭება, თუ რომელი სასამართლოს წევრია მოსამართლე და რა სახის დარღვევა იქნა ჩადენილი მის მიერ.

**პოლონეთი:** პოლონეთში სადისციპლინო აგენტის არჩევა ხდება იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ, სააპელაციო სასამართლოების მიერ შეთავაზებული კანდიდატთა რიგებიდან. სადისციპლინო აგენტს ირჩევენ 4 წლის ვადით. სადისციპლინო აგენტის მოადგილის არჩევა ხდება, სააპელაციო და რაიონული სასამართლოების მიერ შეთავაზებული კანდიდატთა რიგებიდან 2 წლის ვადით.

სადისციპლინო აგენტი მოსამართლის წინააღმდეგ, დისციპლინური ღონისძიების დაწყების ინიცირებას ახდენს, იუსტიციის მინისტრის, უზენაესი სასამართლოს წევრის, სააპელაციო და რეგიონული სასამართლოების თავმჯდომარისა და იუსტიციის საბჭოს თხოვნით. ასევე საკუთარი ინიციატივით, იმ შემთხვევაში თუკი მოსამართლე ვერ უზრუნველყოფს საჭირო ახსნა განმარტების მიცემას სადავო საკითხთან დაკავშირებით.

**სლოვენია:** სლოვენიაში სადისციპლინო ღონისძიებების ინიცირების უფლება აქვს, იუსტიციის მინისტრს, იუსტიციის საბჭოს თავმჯდომარეს, იმ სასამართლოს თავმჯდომარეს სადაც ასრულებს მოვალეობას მოსამართლე და ზემდგომი სასამართლოს თავმჯდომარეს.

- ქვეყნები სადაც იუსტიციის მინისტრი არ მონაწილეობს სადისციპლინო ღონისძიებების გატარებაში

აღნიშნულ ჯგუფში ერთიანდებიან ბელგია, გერმანია, უნგრეთი, იტალია, პორტუგალია და ესპანეთი.

**ბელგია:** ნებისმიერ მოქალაქეს შეუძლია მიმართოს იუსტიციის საბჭოს მოსამართლის მიერ ჩადენილი გადაცდომების შესახებ, მაგრამ, მხოლოდ იუსტიციის საბჭოს თავმჯდომარეს აქვს უფლება დაიწყოს დისციპლინური ღონისძიებები. მიმართვა ასევე შეიძლება გაგზავნილი იქნას იუსტიციის მინისტრისათვის, მაგრამ იგი ვალდებულია საქმე გადასცეს საბჭოს თავმჯდომარეს.

**გერმანია:** გერმანიაში სასამართლოს თავმჯდომარეს უფლება აქვს მოახდინოს გამოძიების დაწყების ინიცირება, გამოძიების შემდეგ მოსამართლის ბრალეულობის შემთხვევაში საქმე გადაეგზავნება პასუხისმგებელ ორგანოს, რომელიც მოახდენს სასჯელის დადებას.

**უნგრეთი:** რაიონული სასამართლოს მოსამართლეების წინააღმდეგ დისციპლინური ღონისძიებების ინიცირების უფლება აქვს იუსტიციის უმაღლეს საბჭოს, სააპელაციო სასამართლოს მოსამართლის წინააღმდეგ, სააპელაციოს თავმჯდომარეს, უზენაესი სასამართლოს მოსამართლის წინააღმდეგ - უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეს.

**პორტუგალია:** დარღვევის გამოვლენის შემთხვევაში მოქალაქეებს, სასამართლოს მოხელეებს, ინსპექტირების სამსახურს გააჩნიათ უფლება, რომ მიმართონ იუსტიციის უმაღლეს საბჭოს, რათა მან დაიწყოს დისციპლინური ღონისძიებების გატარება მოსამართლის წინააღმდეგ.

**ესპანეთი:** დისციპლინური ღონისძიებების, დაწყება მოიცავს შემდეგ ეტაპებს. დაწყების უფლება გააჩნიათ:

- უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეს ან უზენაესი სასამართლოს საბჭოს
- იუსტიციის უმაღლეს საბჭოს
- დაწყების მოთხოვნის შესახებ პეტიციის წარდგენის უფლება გააჩნია, საქმეში მონაწილე მხარეს ან სახალხო ბრალმძებელს.

მიმართვიდან 1 თვის განმავლობაში სადისციპლინო საბჭო ვალდებულია დაიწყოს საქმის განხილვა და მიიღოს გადაწყვეტილება.

- საერთო სამართლის სისტემის ქვეყნებში.

**ინგლისი:** მოსამართლის მიერ დისციპლინური გადაცდომის საკითხებს განიხილავს, საჩივრების საბჭო. საბჭო ასრულებს იუსტიციის საბჭოს თავმჯდომარისა და კანცლერის დამხმარე ორგანოს ფუნქციას. მიმართვა მოსამართლის მიერ ჩადენილი დისციპლინური

გადაცდომის შესახებ უნდა იქნას დასაბუთებული, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი არ განიხილება. საბჭო საჩივრის ასლს უგზავნის მოსამართლეს რათა მან გააკეთოს ახსნა განმარტება შემდგომ იწყება გამოძიება. გამოძიების პროცესში შეიძლება გაიმართოს მოსმენა, რომელზეც მიმართვის მხარე ვალდებულია დასაბუთოს მოსამართლის წინააღმდეგ შეტანილი საჩივარი.

**მალტა:** მალტაში მოსამართლის მიერ დისციპლინური გადაცდომის საკითხებს განიხილავს საბჭო რომელშიც შედიან: ქვეყნის პრეზიდენტი, იუსტიციის საბჭოს თავმჯდომარე, გენერალური პროკურორი, ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარე, 2 მოსამართლე, მმართველი და ოპოზიციური პარტიების წარმომადგენლები. საბჭოს შეუძლია მხოლოდ ყურადღება გაამახვილოს გადაცდომებზე და მიმართოს პარლამენტს მოსამართლის იმპიჩმენტის პროცედურაზე. პარლამენტს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება სრული შემადგენლობის 2/3-ით, თუმცა საბჭოს არ აქვს რეალური ძალაუფლება და მსგავს პროცედურას არასოდეს ჰქონია ადგილი მალტის ისტორიაში.

## 2. სანქციის დადების უფლება

ქვეყნების ჯგუფი სადაც სანქციის დადების უფლება გააჩნია სასამართლოს: ბელგია, გერმანია, უნგრეთი ლატვია, პოლონეთი და სლოვენია.

**ბელგია:** სასამართლოს თავმჯდომარეს აქვს უფლება დასაჯოს მოსამართლე მხოლოდ ნაკლებად მძიმე გადაცდომისათვის.

მოსამართლეთა დასჯას ახდენს ეროვნული სადისციპლინო საბჭო, რომელსაც გადაწყვეტილებები გამოაქვს მთელი ქვეყნის მაშტაბით, თუმცა იუსტიციის საბჭოს მიერ მომზადდა ახალი კანონპროექტი, რომლის მიხედვითაც უნდა შეიქმნას სასამართლოში ახალი მიმართულება, რომელიც იმუშავებს მხოლოდ დისციპლინურ საკითხებზე.

**ჩეხეთი:** მოსამართლის დასჯა დისციპლინური გადაცდომისათვის შეუძლია, სადისციპლინო პალატას, რომელიც შედის უზენაესი ადმინისტრაციული სასამართლოს შემადგენლობაში. მასში ერთიანდება უზენაესი სასამართლოს წევრები, სააპელაციო სასამართლოს წევრები, გენერალური პროკურატურის წარმომადგენელი, იურიდიული სფეროს წარმომადგენლები. პალატაში შედის 6 წევრი და ხმების გაყოფის შემთხვევაში განაჩენში მითითებულია - „უდანაშაულო“.

**გერმანია:** გერმანიაში განსჯადობის საკითხი დამოკიდებულია დანაშაულის სიმძიმეზე. ნაკლებად მძიმე გადაცდომისათვის სასჯელის განსაზღვრის უფლება აქვს სასამართლოს თავმჯდომარეს, შედარებით მძიმე დანაშაულისათვის სასჯელს განსაზღვრავს სპეციალური სასამართლო ორგანო. თითოეული მიწის სასამართლოებში აღნიშნული ორგანო მოიცავს 3 მოსამართლეს, გასაჩივრება შეიძლება ზემდგომ ორგანოში, რომელშიც ერთიანდება 5 მოსამართლე. უზენაეს სასამართლოში გამოყოფილია ცალკე პალატა, რომელიც მუშაობს

მხოლოდ დისციპლინურ საქმეებზე იგი მოიცავს სააპელაციო სასამართლოს მოსამართლეების მიერ ჩადენილი გადაცდომის სკაითხებსაც.

**უნგრეთი:** რაიონულ და სააპელაციო სასამართლოს გააჩნია სადისციპლინო ტრიბუნალი რომელსაც გააჩნია 1 ინსტანცია, უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო ტრიბუნალს გააჩნია 2 ინსტანცია.

სადისციპლინო ტრიბუნალის წევრები და თავმჯდომარე აირჩევიან 6 წლის ვადით, ადგილობრივი, სააპელაციო, უზენაესი სასამართლოებისა და იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საერთო კრების მიერ. კანდიდატებს უნდა გააჩნდეთ მოსამართლედ მუშაობის 5 წლიანი გამოცდილება და არ უნდა ჰქონდეთ ჩადენილი დისციპლინური გადაცდომა.

**ლატვია:** დისციპლინურ საკითხებს სიმძიმის და მიუხედავად განიხილავს დისციპლინური საბჭო. მის შემადგენლობაში შედიან: უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე ან მოადგილე, უზენაესი სასამართლოს 3 მოსამართლე, რეგიონალური სასამართლოს 2 მოსამართლე, საქალაქო სასამართლოს 2 მოსამართლე, რაიონული სასამართლოს 2 წევრი. საბჭოს არჩევა ხდება ფარული კენჭისყრით. საბჭოს ხელმძღვანელობს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე, ორ მოადგილეს ირჩევს საბჭო. იუსტიციის მინისტრს, გენერალურ პროკურორსა და სხვა საბჭოს მიერ უფლებსმოსილ პირებს უფლება აქვთ დაესწონ მოსმენებს. საბჭო უფლებამოსილებას ახორციელებს სადისციპლინო საბჭოს შესახებ კანონის საფუძველზე.

**პოლონეთი:** პოლონეთში მოსამართლეთა დისციპლინურ გადაცდომაზე გადაწყვეტილება გამოაქვს- პირველი ინსტანციის მოსამართლეთათვის სააპელაციო სასამართლოს, მეორე ინსტანციის მოსამართლეთათვის უზენაეს სასამართლოს.

ტერიტორიულობის პრინციპის მიხედვით გადაწყვეტილება გამოაქვს იმ სასამართლოს, რომელ რეგიონსაც მიკეთუნება მოსამართლე.

სადისციპლინო პალატა საქმეს განიხილავს კოლეგიალურად 3 მოსამართლის შემადგენლობით. ნებისმიერ მოსამართლეს შეუძლია იყოს სადისციპლინო პალატის წევრი, გარდა თავმჯდომარისა და პირველი მოადგილისა.

სადისციპლინო კოლეგიის მოსამართლეებს ირჩევენ შემთხვევითი მეთოდით მაგრამ კოლეგიის 1 წევრი აუცილებლად უნდა იყოს სისხლის სამართლის საქმეთა მოსამართლე. კოლეგიის თავმჯდომარეობა ევალება ყველაზე გამოცდილ წევრს.

**სლოვენია:** სლოვენიაში დისციპლინური სანქციის დაწესებისათვის საჭიროა ეტაპების დაცვა. პირველი გადაცდომისათვის აუცილებელი არ არის სპეციალური ორგანოს მიერ საქმის განხილვა, ხოლო განმეორებითი გადაცდომისათვის სანქციას აწესებს სპეციალური ორგანო-სადისციპლინო პალატა. სადისციპლინო პალატის მოწვევა და დათხოვნა ხდება უზენაესი სასამართლოს პლენუმის მიერ, იუსტიციის საბჭოს მოთხოვნით. ორი ინსტანცია შექმნილია

იმისათვის, რომ მოსამართლეს შეეძლოს პირველი ინსტანციის სადისციპლინო პალატის მიერ გამოტანილი გადაწყვეტილების გასაჩივრება.

- ქვეყნები სადაც დისციპლინური პასუხისმგებლობის შესახებ გადაწყვეტილება გამოაქვს სპეციალურ, ადმინისტრაციულ ორგანოს.

აღნიშნულ ჯგუფში ერთიანდებიან ბულგარეთი, ინგლისი, უელსი, საფრანგეთი, იტალია, პორტუგალია და ესპანეთი.

**ბულგარეთი:** დისციპლინური სანქციის დადებას ახდენს:

1. სასამართლო სისტემის შესახებ აქტის 308-ე მუხლის დარღვევისათვის ადმინისტრაციული ხელმძღვანელი;
2. ა) სასამართლო სისტემის შესახებ აქტის 308 მუხლის 1,2,4 ნაწილის დარღვევისთვის; ბ) გადასცემს ადმინისტრაციულ ხელმძღვანელს.

იუსტიციის საბჭოს გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრებული იქნას, უზენაეს სასამართლოში.

**ინგლისი და უელსი:** გამონაკლის შემთხვევებში, იუსტიციის მინისტრსა და სასამართლოს თავმჯდომარეს შეუძლიათ დაუწესონ სანქციას მოსამართლეს, მაგრამ მოსამართლეს უფლება აქვს მოითხოვოს, რომ მისი საქმე შეისწავლოს სპეციალურმა ორგანომ საზედამხედველო საბჭომ. საზედამხედველო საბჭო შედგება 4 პირისაგან.

**იტალია:** მხოლოდ იუსტიციის საბჭოს აქვს უფლება, რომ განსაზღვროს სანქცია მოსამართლის წინააღმდეგ. მნიშვნელობა არ აქვს გადაცდომის სიმძიმესა და მის ხასიათს.

**ესპანეთი:** სანქციის განსაზღვრის უფლება აქვთ შემდეგ ორგანოებს:

1. გაფრთხილების გამოცხადების უფლება აქვთ: უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეს, სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარეს, რეგიონული სასამართლოს თავმჯდომარეს.
2. გაფრთხილებისა და დაჯარიმების უფლება გააჩნიათ: ადგილობრივი სასამართლოს საბჭოს, რეგიონული სასამართლოს საბჭოს, უზენაესი სასამართლოს საბჭოსა და იუსტიციის უმაღლეს საბჭოს.
3. მძიმე გადაცდომისათვის იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სადისციპლინო კომისიას.
4. განსაკუთრებით მძიმე გადაცდომისათვის იუსტიციის უმაღლეს საბჭოს სადისციპლინო საბჭოს მოთხოვნით.

### 3. დისციპლინური გადაცდომის სახეები

**სლოვენია:** სლოვენიაში დისციპლინური გადაცდომები იყოფა ორ ნაწილად; მძიმე და ნაკლებადმძიმე. გადაცდომები ასახულია სლოვენის კანონმდებლობაში.



**ესპანეთი:** ესპანეთში არსებობს დისციპლინური გადაცდომების ზუსტი ჩამონათვალი და ისინი იყოფიან მძიმე და ნაკლებადმძიმე გადაცდომებად. დისციპლინური დანაშაულები განმარტებულია კანონმდებლობით.

#### 4. სანქციის სიმკაცრის განმსაზღვრელი კრიტერიუმები

ყოველი ქვეყნის სისტემა ადგენს კრიტერიუმებს, რათა განსაზღვროს დასაკისრებელი სანქციის სიმკაცრე. ამ მხრივ განსხვავება ძალიან დიდი არ არის.

თუმცა, აღსანიშნავია სლოვენისა და ესპანეთის სისტემები. სანქციის სიმკაცრის დასადგენად პროპორციულობა უნდა იყოს დაცული; დაკისრებულმა სანქციებმა უნდა გაითვალისწინოს სამართლიანი კავშირი დარღვევის ბუნებასა და დაკისრებულ სანქციას შორის. როდესაც სანქცია შეიძლება დაკისრებულ იყოს ზედა და ქვედა ზღვარს შორის, არჩეული სანქციის დონე გადაწყვეტილებაში სათანადოდ უნდა იყოს დასაბუთებული. სლოვენიაში სანქციის სიმკაცრეს, დისციპლინური გადაცდომიდან გამომდინარე, ადგენს სადისციპლინო სასამართლო. სასამართლო სისტემის შესახებ აქტი ითვალისწინებს სანქციის სიმკაცრის განმსაზღვრელ კრიტერიუმებს, მაგრამ აღნიშნული კრიტერიუმები საკმაოდ სუსტია.

**ბულგარეთი** - ბულგარეთში ექვსი სადისციპლინო სასჯელი არსებობს. სასამართლო სისტემის შესახებ აქტის 309-ე მუხლი ადგენს კრიტერიუმების გრადაციას, დანაშაულის სიმძიმე, დანაშაულის ფორმა, გარემოებები და დამნაშავის ქცევა მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული.

**ჩეხეთის რესპუბლიკა**- აღნიშნული დამოკიდებულია მხოლოდ მოსამართლეთა კოლეგიასა და საქმის ინდივიდუალურ გარემოებებზე. დისციპლინური პასუხისმგებლობის თაობაზე მიღებული გადაწყვეტილება არ საჩივრდება. ეს არის სადავო საკითხი, რომელიც ამ ეტაპზე საკონსტიტუციო სასამართლოს წინაშე განიხილება, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკის თანახმად, კანონის სავარაუდო არაკონსტიტუციურობის გამო.

**დანია** - სანქცია დანაშაულის სერიოზულობის პროპორციული უნდა იყოს. სანქციები განსხვავდება ერთმანეთისაგან და სპეციალური სასამართლოს მიერ მოსამართლის საწინააღმდეგოდ მიღებული გადაწყვეტილების შედეგად, იგი შეიძლება გამოხატული იქნეს ან ჯარიმით ან, საბოლოოდ, თანამდებობიდან გათავისუფლებით.

**უელსი და უელსი**- დანაშაულის სერიოზულობას კონკრეტული გარემოებების მიხედვით ლორდ-კანცლერი (სასამართლოს მთავარი თანამდებობის პირი) და მთავარი მოსამართლე გადაწყვეტს, აგრეთვე, ისინი იღებენ გადაწყვეტილებას შესაბამისი სანქციის შესახებ. სასამართლო განხილვის მეშვეობით თეორიულად შესაძლებელია კრიტერიუმების

გაერთიანება, მაგრამ აღნიშნული სამართლებრივი დაცვის საშუალებები იშვიათად გამოიყენება.

**საფრანგეთი** - საფრანგეთის დისციპლინური კანონი არ იცავს ფაქტების იერარქიას და არ განსაზღვრავს არიან თუ არა ისინი დასჯადი, არამედ, იგი ადგენს სანქციების იერარქიას. არსებობს დისციპლინური პასუხისმგებლობის რვა სანქცია:

- ა) შენიშვნა, რომელიც დოკუმენტებში აისახება;
- ბ) სამუშაო ადგილის შეცვლა;
- გ) გარკვეული ფუნქციების ჩამოშორება;
- დ) ერთპიროვნულ მოსამართლედ მისი დანიშვნის აკრძალვა, მაქსიმუმ 5 წლის ვადით;
- ე) ნაკლებვალიფიციურ სამუშაოზე გადაყვანა;
- ვ) მაქსიმუმ ერთი წლის განმავლობაში ფუნქციების დროებით ჩამორთმევა; ჩამოქვეითება;
- ზ) სამსახურიდან გათავისუფლება ან გადაყენება საპენსიო უფლებების შეწყვეტით ან შეწყვეტის გარეშე.

**გერმანია**- სისტემა ითვალისწინებს სანქციების და არა დანაშაულების გრადაციას (მოქმედი მოსამართლეებისათვის: შენიშვნა, ჯარიმა, ხელფასის შემცირება, თანამდებობიდან დაქვეითება და თანამდებობიდან გათავისუფლება). გადაწყვეტილების მიღების პროცესი დისკრეციის პრინციპის მიხედვით წარიმართება, რადგან კომპეტენტურმა ორგანომ უნდა შეაფასოს დარღვევის სერიოზულობა და, აგრეთვე ის თუ რამდენად აისახა აღნიშნული დარღვევა სასამართლოს მიმართ საზოგადოების ნდობასა და თავად მოსამართლის პიროვნებაზე.

**უნგრეთი**- მოსამართლეს გადაცდომისათვის შეიძლება დაეკისროს მოცემული დისციპლინური სასჯელები: ა) შენიშვნა; ბ) გაფრთხილება; გ) ხელფასის შემცირება; დ) აღმასრულებელი საქმიანობიდან ჩამოშორება; ე) მოსამართლის თანამდებობიდან გათავისუფლება.

დაკისრებული დისციპლინური სასჯელი უნდა შეესაბამებოდეს დარღვევის სიმძიმესა და შედეგებს, ისევე, როგორც დანაშაულის ხარისხს.

**იტალია**- იტალიის დისციპლინური კანონმდებლობა ითვალისწინებს კოდიფიკაციას (ყოველი დანაშაულისათვის კონკრეტულ სანქციას). დანაშაულის სერიოზულობა ფასდება მხოლოდ დაკისრებული კონკრეტული სანქციის გასამართლებლად. არსებობს მნიშვნელოვანი განსხვავება სამოსამართლო საქმიანობასთან დაკავშირებულ დისციპლინურ დარღვევასა და დისციპლინურ დარღვევას შორის, რომელიც არ არის დაკავშირებული პროფესიულ მოვალეობასთან. არსებობს სანქციის ექვსი სახე (რომელიც მარტივი

„შენიშვნით” იწყება და სრულდება „სამოსამართლო საქმიანობიდან ჩამოშორებით”). როგორ უკვე აღინიშნა, აღნიშნული სანქციები ყოველი კონკრეტული დარღვევის დროს გამოიყენება. მე-12 მუხლით, რომელიც მაგისტრატა უკანონო ქმედებისათვის გათვალისწინებულ სასჯელს შეეხება, მოცემულია თუ როდის არის სანქციის სახით გამოყენებადი შენიშვნა, საქმიანობის განხორციელების ვადის შემცირება, საქმიანობის განხორციელების შეჩერება ან შეწყვეტა.

**პორტუგალია-** პორტუგალიაში არსებობს სანქციათა კატალოგი: თანამდებობიდან გათავისუფლება, იძულებით თანამდებობიდან გადადგომა, მოსამართლის საქმიანობის განხორციელების შეჩერება, ჯარიმა, შენიშვნა პირად საქმეში ასახვით ან ასახვის გარეშე. კონკრეტული სანქცია საქმის გარემოებებიდან გამომდინარე შეირჩევა. უზენაესმა სასამართლომ ერთ-ერთ საქმეზე განაცხადა, რომ სასამართლო პრაქტიკა ღონისძიებათა პროპორციულობის სახელმძღვანელო მითითებებს ადგენს.

## 5. საჩივრების შესწავლა საქმის არსებითი განხილვის გარეშე

როგორც წესი, ამ სახის საჩივრები შეიძლება არ დაკმაყოფილდეს, მისი შემდგომი განხილვის გარეშე.

თუმცა, არსებობს გარკვეული დეტალები, რომლებიც უნდა აღინიშნოს.

**ბულგარეთი-** საჩივართან დაკავშირებით შეიძლება ორი ფაზა გამოიყოს: წინასწარი გამოძიება ან ინსპექცია. თუ წინასწარი გამოძიება ნებისმიერ ეჭვს მიღმა დაადგენს, რომ საჩივარი უსაფუძვლოა ან არ ხვდება ინსპექციის უფლებამოსილების ფარგლებში, დასაბუთებული პოზიცია უნდა ჩამოყალიბდეს და გაეგზავნოს მომჩივანს.

თუმცა, ბულგარეთის სისტემა დისციპლინარულ ორგანოს უფლებას არ აძლევს საჩივრის არსებითი მხარის განხილვის გარეშე უარი თქვას საჩივრის დაკმაყოფილებაზე. დისციპლინარული კოლეგია ვალდებულია გასხნას საქმე, მიიღოს გადაწყვეტილება და იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სესიაზე წარადგინოს წინადადებები. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილება არ არის საბოლოო, რადგან იგი შეიძლება უმაღლეს ადმინისტრაციულ სასამართლოში გასაჩივრდეს.

**საფრანგეთი-** გამომდინარე იქედან, რომ საზოგადოებისათვის გასაჩივრების უფლების მინიჭება ჯერ არ მომხდარა, აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით გამოცდილება მწირია, თუმცა მსგავსი სახის საჩივრებზე უარის თქმის უფლებამოსილების არსებობა წინასწარ არის განჭვრეტადი.

**უნგრეთი-** სადისციპლინო კოლეგიამ უნდა გადაწყვიტოს დაიწყოს თუ არა დისციპლინური სამართალწარმოება, განაცხადოს თუ არა უარი დისციპლინური სამართალწარმოების განხორციელებაზე ან გასცეს თუ არა ბრძანება საქმის წინასწარი შესწავლის თაობაზე.

თუ მოსამართლე ჩაიდენს ნაკლებად მძიმე დანაშაულს და სადავო გადაცდომამ არ გამოიწვია საზიანო შედეგები, დისციპლინური სამართალწარმოება შეიძლება არ იქნეს დაწყებული. ამ შემთხვევაში, მოსამართლეს მიეცემა გაფრთხილება. აღნიშნულ მოსამართლეს შეუძლია უარი განაცხადოს გაფრთხილების მიღებაზე და მოითხოვოს დისციპლინური სამართალწარმოების დაწყება. ამ შემთხვევაში, დაიწყება დისციპლინური პროცედურები.

**პოლონეთი-** თუ შესაბამისი ორგანოს მიერ დისციპლინური სამართალწარმოების დაწყების თაობაზე მოთხოვნის შემდეგ, დისციპლინური აგენტი აღნიშნულის განსახორციელებლად ვერ აღმოაჩენს რაიმე საფუძველს, იგი გამოსცემს გადაწყვეტილებას დისციპლინური სამართალწარმოების დაწყებაზე უარის თქმის შესახებ.

გადაწყვეტილება გადაეცემა იმ ორგანოს, რომელმაც წარადგინა დისციპლინური საქმის შესწავლის შესახებ მოთხოვნა, კომპეტენტურ სააპელაციო ან რაიონულ სასამართლოს და ბრალდებულს.

დისციპლინური საქმის შესწავლის თაობაზე მოთხოვნის წარმდგენი ორგანოსათვის აღნიშნული გადაწყვეტილების ჩაბარებიდან 7 დღის განმავლობაში, საბჭოს უფლება აქვს დისციპლინური სასამართლოს წინაშე წარადგინოს საჩივარი რომელიც შესწავლილი უნდა იქნეს 2 კვირის განმავლობაში.

**პორტუგალია-** როდესაც საჩივარი წარდგენილი იქნება, ინსპექტორი ანალიზს უკეთებს და აფასებს აქვს თუ არა მას საქმის არსებითი მხარე. თუ მიიჩნევს, რომ მას არ აქვს საქმის არსებითი მხარე, საჩივრის დაუკმაყოფილებლობის შესახებ წინადადება ეგზავნება მაგისტრატთა უმაღლესი საბჭოს ვიცე-პრეზიდენტს, რომელსაც შეუძლია გაიზიაროს აღნიშნული წინადადება ან საჩივარი კომისიას გადაუგზავნოს გადაწყვეტილების მისაღებად.

**სლოვენია-** სასამართლო სისტემის შესახებ აქტი აცხადებს, რომ დისციპლინური სანქციის დაკისრების თაობაზე წინადადებას წარადგენს დისციპლინური ბრალმდებელი, რომელიც უზენაესი სასამართლოს მოსამართლეა. თუ დისციპლინური ბრალმდებელი ვერ უზრუნველყოფს დისციპლინური პროცედურის შესახებ წინადადების წარდგენას, იგი ვალდებული იქნება ინიციატორს აცნობოს აღნიშნულის საფუძველების თაობაზე (სასამართლოს თავმჯდომარეს, სადაც მოსამართლე სამოსამართლო საქმიანობას ახორციელებს, უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეს, იუსტიციის საბჭოს ან იუსტიციის სამინისტროს). თუ ინიციატორი მტკიცედ ითხოვს პროცედურის დაწყებას, დისციპლინური სამართალწარმოების თაობაზე საბოლოო გადაწყვეტილება პირველი ინსტანციის

დისციპლინურმა სასამართლომ უნდა გამოიტანოს. მან შეიძლება დაასკვნას, რომ თუ ინიციატორი დაჟინებით ითხოვს პროცედურის დაწყებას, დისციპლინური სამართალწარმოების წარდგენას გადაწყვეტს არა დისციპლინური ბრალმდებელი, არამედ პირველი ინსტანციის დისციპლინური სასამართლო.

**ესპანეთი** - ზოგადად სასამართლო სისტემის ფუნქციონირებასთან ან მოსამართლის ან მაგისტრატის მიერ განხორციელებულ ქმედებასთან დაკავშირებული საჩივრები იუსტიციის გენერალური საბჭოს ინსპექციის სამსახურის ხელმძღვანელის მიერ ერთი თვის ვადაში უნდა მომზადდეს და წერილობითი ფორმით უნდა წარედგინოს დისციპლინურ კომისიას. ინსპექციის სამსახურის ხელმძღვანელი გადაწყვეტს დაიწყოს გამოძიება თუ პირდაპირ დისციპლინური სამართალწარმოების განხორციელების თაობაზე გააკეთოს წარდგინება. ამ მოხსენების საფუძველზე, დისციპლინურმა კომისიამ უნდა მიიღოს დასაბუთებული გადაწყვეტილება იმის თაობაზე, დაიწყებს თუ არა დისციპლინურ სამართალწარმოებას. აღნიშნული გადაწყვეტილება დამოკიდებულია დანაშაულის კლასიფიკაციაზე.

## **6. სასამართლო გადაწყვეტილების შინაარსთან დაკავშირებული საჩივრების განხილვა**

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, ყველა განხილული სისტემა ერთსულოვანია. მსგავს საჩივრებზე უარის თქმა შეიძლება მისი შემდგომი განხილვის გარეშე. თუმცა, საფრანგეთში არსებული სიტუაცია უფრო ღრმა ანალიზს საჭიროებს.

**ბულგარეთი**- ინსპექციამ სასამართლო ორგანოების საქმიანობის შემოწმება მოსამართლეთა დამოუკიდებლობაზე ზეგავლენის მოხდენის გარეშე უნდა განხორციელოს.

თუ დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების თაობაზე წინადადება სასამართლო გადაწყვეტილების არსს ეხება, დისციპლინურმა ორგანომ იგი არ უნდა დააკმაყოფილოს.

**ჩეხეთის რესპუბლიკა**- მსგავსი სამართალწარმოებები უნდა შეწყდეს.

**ინგლისი და უელსი**- მთავარ მოსამართლეს არ შეუძლია განიხილოს სასამართლო გადაწყვეტილებასთან ან საქმის წარმართვის გზასთან დაკავშირებული საჩივრები. სასამართლო გადაწყვეტილების მაგალითებს წარმოადგენს გადაწყვეტილებები სასჯელის ხანგრძლივობასა და სახესთან დაკავშირებით, იმასთან დაკავშირებით თუ რა ხარჯები უნდა ყოფილიყო მიკუთვნებული მხარისათვის და რომელი მტკიცებულება უნდა ყოფილიყო განხილული. მსგავსი გადაწყვეტილების გაპროტესტების ჩვეული გზა გასაჩივრებაა. ამდენად, სისტემა არ ითვალისწინებს სასამართლო გადაწყვეტილების შინაარსის გამო დისციპლინური სამართალწარმოების დაწყებას; მსგავსი საჩივრებს უარი ეთქმევა შემდგომი განხილვის გარეშე.

**საფრანგეთი-** დისციპლინური დანაშაულების სამართლებრივი აღწერის განუსაზღვრელობიდან გამომდინარე, საფრანგეთში დადგინდა სტაბილური სამართლებრივი პრაქტიკა დისციპლინურ დანაშაულსა და სასამართლო აქტს შორის განსხვავების შესახებ.

## თავი 5. მაგისტრატა უმაღლესი საბჭოს სასამართლო იურისდიქცია

### ძირითადი პრინციპი

მოსამართლეთა სამოსამართლო საქმიანობასთან დაკავშირებით არ შეიძლება განხორციელდეს დისციპლინური სამართალწარმოება. აღნიშნული პრინციპი მიმართულია არა მოსამართლეთა, არამედ მხარეთა ინტერესებისაკენ, რათა მათ ჰქონდეთ დამოუკიდებელი და გამჭვირვალე სასამართლო სისტემა.

### გამონაკლისი:

თუმცა, *Bidalou*-ს საქმის შემდეგ იურისპრუდენციას გამონაკლისი აქვს, „მსგავს პრინციპს აქვს ფარგლები, როდესაც *res iudicata* პრინციპიდან ჩანს, რომ მოსამართლემ საქმიანობის განხორციელებისას უხეშად და სისტემატური გზით გადააჭარბა საკუთარ იურისდიქციას და მხედველობაში არ მიიღო მისი უფლებამოსილების ფარგლები, თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ ასეთად აღიქმება, მისი ქმედება სამოსამართლო საქმიანობისაგან შორს დგას.”

უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების შემთხვევები განიხილა იუსტიციის საბჭომ. ფაქტობრივად, როდესაც *res iudicata* პრინციპიდან გამომდინარეობს, რომ მოსამართლე უხეშად და სისტემატურად აჭარბებს საკუთარ უფლებამოსილებას, მის მიერ განხორციელებული ქმედება, მიუხედავად იმისა, რომ აღიქმება და ჩანს ასეთად, არ წარმოადგენს სასამართლო საქმიანობას და, შესაბამისად, შესაძლებელია დისციპლინური ღონისძიებების გამოყენება.

**გერმანია-** დისციპლინური სამართალწარმოების დაწყება სასამართლო გადაწყვეტილების შინაარსის თაობაზე არ არის დაშვებული. სასამართლო გადაწყვეტილების შინაარსი ინსპექციის ფარგლებს გარეთ არის, ამდენად მასთან დაკავშირებულ საჩივარი არ დაკმაყოფილდება.

**იტალია-** როგორც წესი, აღნიშნულ საჩივრებს განხილვის გარეშე ეთქმევათ უარი. მთავარი პროკურორი უბრალოდ არ განიხილავს მსგავს საკითხთან დაკავშირებით დისციპლინური საქმის წარმოების შესახებ რაიმე მოთხოვნას.

იგნორით ან გულრგილობით განპირობებული კანონის აშკარად დარღვევის შემთხვევაში არსებობს გამონაკლისი.

**ლატვია**- მოსამართლეები სასამართლო გადაწყვეტილების მიღებისას დამოუკიდებელნი არიან. შესაბამისად, დისციპლინური პროცედურის დაწყებაზე უფლებამოსილი პირის გადასაწყვეტია უარი თქვას საჩივარზე, მისი შემდგომი განხილვის გარეშე. არგუმენტი იქნებოდა შემდგომი - „მოსამართლეები მათ მიერ გადაწყვეტილებებთან დაკავშირებით დამოუკიდებელნი არიან, ამრიგად არ არსებობს დისციპლინური სამართალწარმოების დაწყების რაიმე მიზეზი“.

**პორტუგალია** - მსგავსი ტიპის საჩივრებს უარი ეთქმევათ, რადგან სასამართლო გადაწყვეტილების არსი შეიძლება გასაჩივრდეს მხოლოდ სამართლებრივი დაცვის საშუალებების მეშვეობით, რომელიც დადგენილია პროცედურული კანონმდებლობით.

**სლოვენია**- კანონმდებლობის მიხედვით, გადაწყვეტილების მიღების დროს მის მიერ გამოთქმული აზრის საფუძველზე მოსამართლე არ შეიძლება წარდგენილ იქნეს დისციპლინური სასამართლოს წინაშე. დისციპლინური სამართალწარმოების დროს არ წყდება სასამართლო გადაწყვეტილების კანონიერების საკითხი. მიუხედავად ამისა, თუ ინიციატორი დაჟინებით ითხოვს დისციპლინური პროცედურის დაწყებას, დისციპლინური სამართალწარმოების პროცედურის წარდგენის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს არა დისციპლინური ბრალმდებელი, არამედ, დისციპლინური სასამართლოს პირველი ინსტანცია.

**ესპანეთი**- მსგავსი სახის საჩივრებს ხშირად პირდაპირ უარი ეთქმევათ, მას შემდეგ რაც ინსპექციის სამსახურის მიერ წარდგენილ მოხსენებაში მითითებულია, რომ საკითხი სამოსამართლო უფლებამოსილებას შეეხება.

#### **ა. ქვევის სტანდარტების დარღვევა**

აღნიშნული კვლევის ბოლოს, ქვევის სტანდარტების დარღვევების მიმართ განსხვავებული მიდგომები იქნება შეჯამებული. შეიძლება ითქვას, რომ ქვევის სტანდარტები ყველა ქვეყანაში ირღვევა, თუმცა დარღვევის ინტენსივობა მნიშვნელოვნად განსხვავდება.

**ბელგია** - მოსამართლეს ან პროკურორს, რომელიც არღვევს ეთიკურ ვალდებულებას, შესაძლოა დისციპლინური სანქცია დაეკისროს.

მიუხედავად იმისა, რომ არსებობს ქვევის კოდექსი, როგორც ასეთი, ყველა მაგისტრატმა პატივი უნდა სცეს ეთიკურ ვალდებულებებს, როგორცაა ცხოვრების იმგვარი წარმართვა, რომ მათი პიროვნული კეთილსინდისიერების მიმართ ექვეები არ წარმოიშვას. ამ საკითხებთან დაკავშირებით ეროვნული დისციპლინური საბჭოს იურისდიქციის ფარგლებში სახელმძღვანელო პრინციპები გამოიცემა.

**ბულგარეთი** - არსებობს ეთიკის კოდექსი, რომლის დარღვევაც დისციპლინურ პასუხისმგებლობას იწვევს. 2009 წლამდე სასამართლოს ასოციაციის მიერ მიღებულს ეთიკის კოდექსს იუსტიციის უმაღლესი საბჭო (Supreme Judicial Council-SJC) ამტკიცებდა. 2009 წლამდე ეთიკის კოდექსი სასამართლო გაერთიანებების მიერ მიიღებოდა და იუსტიციის უმაღლესი საბჭო კი ამტკიცებდა მას. 2009 წლის შემდეგ ეთიკის კოდექსის მიღებაზე პასუხისმგებელი მხოლოდ იუსტიციის უმაღლესი საბჭოა, რაც მიჩნეულ იქნა მნიშვნელოვან საფრთხედ ვინაიდან, როდესაც ეთიკური წესების დარღვევები აისახება დისციპლინური შედეგებზე, SJC-ს შეუძლია უბრალო განკარგულების მეშვეობით მაგისტრანტთა ეთიკის კოდექსში ცვლილებების შეტანის გზით შექმნას ახალი დისციპლინური გადაცდომები.

**ჩეხეთის რესპუბლიკა** - ჩეხეთში არსებობს მოსამართლეთა ეთიკის კოდექსი. დისციპლინური სამართალწაროება მხოლოდ იმ შემთხვევაში იწყება, თუ მოსამართლე მისთვის კანონით დადგენილ ვალდებულებებს არღვევს.

**დანია** - მოსამართლეთა პროფესიული ეთიკური ვალდებულებები სპეციალური სასამართლოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებში არის გაწერილი. არ არსებობს დაწერილი „ეთიკური სტანდარტი“.

**ინგლისი და უელსი** - დანიშვნისას მოსამართლეები თანხმობას გამოთქვამენ, რომ დაიცავენ ქვეყნის კოდექსს, რომელიც მკაცრ მოთხოვნებს აწესებს; სასამართლოს მთავარი ლორდისა და ლორდ-კანცლერის პასუხისმგებლობაა, თვალყური ადევნონ თუ რამდენად იცავენ მოსამართლეები ქვეყნის კოდექსს.

**საფრანგეთი** - 2007 წლის 5 მარტის ორგანული კანონის მე-18 მუხლის მიხედვით, სასამართლოს უმაღლეს საბჭოს მაგისტრატთა ეთიკური ვალდებულებების შესახებ მოკლე ჩანაწერის მომზადება და გასაჯაროება დაევალა. კრებული მაგისტრატთათვის შექმნილ პოზიტიური დეონტოლოგიური ვალდებულებების კატალოგს წარმოადგენს. ის საჯარო 2010 წლის 3 ივნისს გახდა. დეონტოლოგიური რეფორმა მაგისტრატთა უმაღლესი საბჭოს მუდმივი მისია გახდა, მაგრამ აღნიშნული კრებული არ წარმოადგენს კოდექსს. ამდენად, მისი ნორმატიული ფარგლები გაურკვეველია.

**გერმანია** - გერმანიაში არ არსებობს მოსამართლეთა ეთიკის ფორმალური კოდექსი, მაგრამ მოსამართლეთა ქვევა დემოკრატიის პრინციპებს უნდა შეესაბამებოდეს. ამ თვალსაზრისით, ისინი უნდა წარმოადგენდნენ ხალხს, რომელსაც საზოგადოება შეიძლება დაეყრდნოს.

**უნგრეთი** - მოსამართლეთა ეთიკის მარეგულირებელი კანონმდებლობა უნგრეთში არ არსებობს. თუმცა, მოსამართლეთა ეროვნულმა ასოციაციამ 2005 წელს მიიღო ეთიკის კოდექსი. იგი მოიცავს ეთიკის ყველაზე მნიშვნელოვან პრინციპებსა და დირექტივებს, რომელიც მოსამართლის უფლება-მოვალეობებთან დაკავშირებული საკონსტიტუციო და



საკანონმდებლო დებულებების იმპლემენტაციას უწყობს ხელს და უნგრეთის სასამართლო სისტემის ყველა მოსამართლეს სახელმძღვანელო პრინციპებს სთავაზობს. ეთიკის კოდექსი ყურადღებას ამახვილებს სასამართლო სისტემის დამოუკიდებლობის მოთხოვნასა და საზოგადოების მიმართ სასამართლო პასუხისმგებლობას შორის კავშირზე. იგი გამოხატავს სასამართლოს ნებას, რომ მათი საქმიანობა საზოგადოების მაღალი მოლოდინების მიხედვით განისაზღვრება. ამდენად, კოდექსი ყველაზე მნიშვნელოვანი ეთიკური პრინციპების და სახელმძღვანელო მითითებების ფორმულირებას ახდენს, რომელთაც მოსამართლეები დანიშვნისას დადებული ფიცითა და შინაგანი რწმენით დაიცავენ.

**იტალია** - პასუხისმგებლობა დარღვევის კონკრეტულ სახეზეა დამოკიდებული. თუ მოსამართლე პირადი ან ეკონომიკური სარგებლის მოპოვების მიზნით თავის პროფესიულ უფლებამოსილებას იყენებს, იგი „სულ მცირე“ საყვედურის გამოცხადებით დაისჯება; თუ მოსამართლე განზრახ ჩადენილი სისხლისსამართლებრივი დანაშაულისთვის არის მსჯავრდებული, პასუხისმგებლობა 1 წელზე მეტი ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს, იგი თანამდებობიდან იქნება გათავისუფლებული.

**ლატვია** - ლატვიაში არსებობს სასამართლო ეთიკის კოდექსი, რომელიც არ წარმოადგენს კანონს, თუმცა სავალდებულოა ყველა მოსამართლისათვის. მოსამართლის მიერ თავისი პროფესიული ეთიკური ვალდებულების დარღვევის შედეგი დისციპლინური წარმოების დაწყებაა, რამდენადაც მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობის შესახებ კანონის 1-ლი ნაწილის მიხედვით, მოსამართლე შესაძლოა, დაექვემდებაროს დისციპლინურ პასუხისმგებლობას: 3) არაკეთილსინდისიერი ქმედებების განხორციელებისათვის ან სასამართლო ეთიკის კოდექსის ნორმების უხეში დარღვევისათვის.

**პორტუგალია** - პორტუგალიას არ აქვს ეთიკის კოდექსი, მაგრამ არსებობს საკანონმდებლო აქტით გათვალისწინებული მოსამართლეთა ქცევის წესები, რომელთა დარღვევა დისციპლინურ პასუხისმგებლობას იწვევს.

**სლოვაკეთი** - პროფესიული ეთიკური ვალდებულებების დარღვევა (განზრახ ან გაუფრთხილებლობით) იმავდროულად ნიშნავს კანონით და სასამართლო წესებით გაწერილი სასამართლო მოვალეობების დარღვევას ან სამოსამართლო საქმიანობის არაჯეროვან განხორციელებას. ძირითადი ქმედებები, რომელიც იწვევს სასამართლო მოვალეობების დარღვევას ან სამოსამართლო საქმიანობის არასათანადო განხორციელებას, მოცემულია სასამართლო საქმიანობის შესახებ აქტში. აღნიშნული ქმედებები დისციპლინური წარმოების და, შესაბამისად, დისციპლინური სანქციების დაკისრების საფუძველს შეიძლება წარმოადგენდეს.

პროფესიული ეთიკური ვალდებულებების დარღვევა, ასევე, აისახება სასამართლოს მუშაობის შეფასებაზე, რომელსაც გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება

ხელშეწყობის/პოპულარიზების კუთხით და მეტიც, უარყოფითად შეფასება შესაძლოა ნიშნავდეს, რომ მოსამართლე არ შეესაბამება სამოსამართლო საქმიანობის განხორციელებას, რასაც შედეგად მისი სამოსამართლო საქმიანობის შეწყვეტა მოჰყვება.

**ესპანეთი** - ესპანეთს მოსამართლეთა ეთიკის კოდექსი არ აქვს. 1985 წლამდე, სანამ ახალი სასამართლო კანონი ძალაში შევიდოდა, არსებობდა დისციპლინური ნორმა, რომელიც დისციპლინურ გადაცდომად მიიჩნედა ნებისმიერ არაჯეროვან ქმედებას, რომელიც გამოხატული იყო არასათანადო მორალური ქცევით ან ქმედებით, რომელიც სასამართლოს საჯარო იმიჯს საფრთხეს უქმნიდა. აღნიშნული დებულება გაუქმდა და მას შემდეგ პირადი ცხოვრება გაიმიჯნა დისციპლინური პასუხისმგებლობისაგან.

მიუხედავად ამისა, ჩამოთვლილია გარკვეული ეთიკური ვალდებულებები. მაგალითად, დასჯადია სამოსამართლო უფლებამოსილებასთან შეუთავსებელი საქმიანობის განხორციელება; რაც შეეხება მიუკერძოებლობის შესახებ ეთიკურ ვალდებულებას, დასჯადია მოსამართლის მიერ თვითაცილებაზე უარის განცხადება; სხვა მაგალითები შესაძლოა იყოს გადაწყვეტილებები, რომლებიც ნათლად იწვევს პროცედურული წესების დარღვევას; ქმედებები, რომლებიც აბრკოლებს ინსპექციის სამსახურს, პატივს არ სცემს სასამართლო იერარქიაში მის ზემდგომ ორგანოს და უგულვებელყოფს ქვედა ინსტანციის სასამართლოებს ან დამამცირებელი ფორმით ეპყრობა მოქალაქეებს, დაწესებულებებს, თანამშრომლებს, სახელმწიფო ბრალმძებლებსა და ადვოკატებს.

### **ბ. ჩანაწერები დისციპლინური სანქციების შესახებ**

როგორც წესი, დისციპლინური გადაწყვეტილებები აღინიშნება მოსამართლის პირად საქმეში. განსხვავებული მიდგომა არსებობს გარკვეული დროის გასვლის შემდეგ აღნიშნული ჩანაწერის წაშლასთან დაკავშირებით.

- *ქვეყნები, სადაც დროის გასვლის შემდეგ დისციპლინური გადაწყვეტილების შესახებ ჩანაწერი იშლება პირადი საქმიდან*

**ბელგია**- მსუბუქი სასჯელების შემთხვევაში, ჩანაწერი სამი წლის შემდეგ იშლება (სასამართლო კოდექსის 427-ე მუხლი). მძიმე სასჯელის დროს კი, მითითება გადაწყვეტილების მიღებიდან ექვსი წლის შემდეგ შეიძლება მოთხოვნის საფუძველზე წაიშალოს.

**ბულგარეთი**- დისციპლინური სანქცია, გარდა თანამდებობიდან გათავისუფლებისა, წაიშლება ერთი წლის გასვლის შემდეგ. დისციპლინური სანქცია, გარდა თანამდებობიდან

გათავისუფლებისა, შეიძლება, აგრეთვე, წაიშალოს აღნიშნული ერთწლიანი ვადის გასვლამდე, მაგრამ არა უადრეს მისი დაკისრებიდან 6 თვისა, იმ ორგანოს მიერ, რომელმაც სანქცია დააკისრა, იმ შემთხვევაში თუ პირს არ ჩაუდენია რაიმე სხვა დანაშაული.

ადრეული წაშლა ადმინისტრაციული ხელმძღვანელის ან ორგანოების ან იმ პირების ინიციატივით ხორციელდება, რომლებმაც სანქციის დაკისრების თაობაზე წარდგინებები გააკეთეს.

**ჩეხეთის რესპუბლიკა-** გადაწყვეტილების მიღებიდან ხუთი წლის შემდეგ, მიიჩნევა, რომ პირს არ ჩაუდენია რაიმე გადაცდომა.

**გერმანია-** სანქციები მოსამართლის პირად საქმეში ჩაიწერება. ჩანაწერი დროის გასვლის შემდეგ შეიძლება წაიშალოს. მაგალითად, ქვედა საქსონიაში: გაფრთხილება (2 წელი), ჯარიმა (სამი წელი), ჩამოქვეითება (7 წელი).

**უნგრეთი-** თუ მოსამართლეს დაეკისრა დისციპლინური სასჯელი, აღნიშნული უნდა აისახოს მის პირად საქმეში.

საბოლოო გადაწყვეტილებით დაკისრებული სასჯელი ძალა უნდა დარჩეს

- ა) საყვედურის გამოცხადების შემთხვევაში ერთი წლის განმავლობაში,
- ბ) ხელფასის შემცირების ან აღმასრულებელი საქმიანობიდან ჩამოშორების შემთხვევაში ორი წლის განმავლობაში,
- გ) მოსამართლის თანამდებობიდან გათავისუფლების შემთხვევაში სამი წლის განმავლობაში.

დისციპლინური სასჯელის ქვეშ მყოფი მოსამართლე

- ა) არ შეიძლება დაწინაურდეს უფრო მაღალ პოზიციაზე,
- ბ) არ შეიძლება დაინიშნოს აღმასრულებელი საქმიანობის განმახორციელებლად,
- გ) არ შეიძლება მოემატოს ხელფასი,
- დ) არ შეიძლება მიეცეს წოდება, რომელიც სასამართლოს მაღალ თანამდებობას შეესაბამება,
- ე) არ შეიძლება მიიღოს ჯილდო ან პრემია.

დისციპლინურ სასჯელს დაქვემდებარებული მოსამართლე, მისი მოთხოვნის საფუძველზე, დისციპლინური ტრიბუნალის პირველი ინსტანციის გადაწყვეტილებით შეიძლება გათავისუფლდეს შესაბამისი სამართლებრივი შედეგისაგან, მას შემდეგ, რაც გასულია 1-ელ პუნქტში მითითებული დრო (ერთი წელი), იმ პირობით, რომ მოსამართლე არ ყოფილა ჩართული სხვა დისციპლინურ სამართალწარმოებაში.

**ლატვია-** სანქციები აღინიშნება პირად საქმეში და მისი ამოღება შესაძლებელია ერთი წლის გასვლის შემდეგ, თუმცა საქმიდან გამომდინარე შესაძლოა ეს პერიოდი უფრო ნაკლები იყოს.

**პოლონეთი-** სასჯელის დაკისრების თაობაზე დისციპლინური სასამართლოს გადაწყვეტილების ასლი, თან უნდა დაერთოს მოსამართლის პირად საქმეს. გადაწყვეტილების საბოლოოდ მიჩნევიდან ხუთი წლის გასვლის შემდეგ, იუსტიციის მინისტრმა უნდა გასცეს ბრძანება პირადი საქმიდან მისი ამოღების თაობაზე, იმ პირობით, რომ ამ პერიოდის განმავლობაში მოსამართლის წინააღმდეგ არ მიმდინარეობდა სხვა დისციპლინური სამართალწარმოება.

იუსტიციის ეროვნულ საბჭოს, უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარესა და იუსტიციის მინისტრს შეუძლიათ წარადგინონ შუამდგომლობა პროცედურის ხელახლა დაწყების შესახებ.

**პორტუგალია-** სანქციები მოსამართლის პირად საქმეში ჩაიწერება.

**ესპანეთი-** დისციპლინური სანქცია დამნაშავეს პირად საქმეში აღინიშნება, სადაც აღწერილი იქნება გარემოებები, რამაც განაპირობა მსგავსი პროცედურის განხორციელება.

აღნიშნული ჩანაწერი წაიშლება გადაწყვეტილების საბოლოოდ მიჩნევიდან ექვსი თვის გასვლის შემდეგ, თუ ამ დროის განმავლობაში დამნაშავე არ იყო ჩართული სხვა დისციპლინურ სამართალწარმოებაში, რომელსაც შედეგად სანქციის დაკისრება მოჰყვა.

ზემოთხსენებული სანქციის თაობაზე მითითება, გარდა თანამდებობიდან გათავისუფლებისა, დამრღვევის მოთხოვნის საფუძველზე შეიძლება არ განხორციელდეს, თუ სანქციის დაკისრებიდან გასულია ერთი, ორი ან ოთხი წელი. აღნიშნული, ასევე, დამოკიდებულია დარღვევის სახეზე, იმ გარემოებაზე წვრილმან დარღვევას ჰქონდა ადგილი, სერიოზულს თუ ძალიან სერიოზულს და, აგრეთვე, იმ ფაქტზე დამნაშავეს წინააღმდეგ განხორციელდა თუ არა შემდგომი დისციპლინური სამართალწარმოება, რომლის შედეგად მას სანქცია დაეკისრა.

- *ქვეყნები, სადაც არ ხდება ჩანაწერის წაშლა*

**დანია-** სპეციალური სასამართლოს გადაწყვეტილება მოსამართლის პირად საქმეში ჩაიწერება და აღნიშნული ჩანაწერი არასდროს წაიშლება.

**ინგლისი და უელსი-** გადაწყვეტილება მოსამართლის პირად საქმეში აღინიშნება. ჩანაწერი მუდმივია, თუმცა დროის გასვლასთან ერთად მცირდება მისი მნიშვნელობა.

**საფრანგეთი-** აღნიშნული სანქცია მოცემულია პირად საქმეში, „დისციპლინური შემთხვევების“ სვეტში. მისი წაშლა შესაძლებელია ამნისტიის კანონის მეშვეობით. სინამდვილეში, მოსამართლეთა პერიოდული შეფასება შეიძლება შეიცავდეს ამ სანქციებს. შესაბამისად, ამნისტიის აქტის მეშვეობით მისი წაშლა ზოგჯერ მხოლოდ თეორიულად არის შესაძლებელი.

**იტალია-** გადაწყვეტილება მუდმივად არის აღნიშნული მოსამართლის პირად საქმეში.

**პორტუგალია-** სანქციები მოსამართლის პირად საქმეში ჩაიწერება და მისი წაშლა არ ხდება.

**სლოვენია-** სასამართლო სისტემის აქტი ადგენს, რომ სასამართლო საქმიანობის შეფასების ჩამოყალიბებისათვის მნიშვნელოვანი ყველა ინფორმაცია უნდა აღინიშნოს პირად საქმეში. მოსამართლისათვის სანქციის დაკისრება ძალიან მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებაა შეფასების ჩამოყალიბებისათვის და, ამრიგად, ჩანაწერი მუდმივად რჩება მოსამართლის პირად საქმეში.

#### **თავი 5. დამოუკიდებლობის პრინციპი: შიდა პერსპექტივა**

კითხვარი, რომლის მიხედვით მომზადდა ეს ნაშრომი, ფოკუსირებული იყო მოსამართლეთა აღქმასა და შეხედულებაზე თავიანთ ქვეყნებში დამოუკიდებლობის პრინციპის შესახებ. პასუხებმა გამოავლინა, რომ ყველა სისტემამ იცის დამოუკიდებლობის უზრუნველყოფის საკუთარი მექანიზმები და რომ ყველა გამოკითხული მოსამართლე ნდობით იყო აღჭურვილი მათი დამოუკიდებლობის დაცვის საკითხთან მიმართებით.

**ბელგია-** სასამართლოს ხელმძღვანელებისათვის გადაჭარბებული ძალაუფლების მინიჭების მიმართ ცუდი დამოკიდებულება არსებობს. სისტემა ძალიან არის დამოკიდებული სასამართლოების თავმჯდომარეებზე და პირადმა შეხედულებამ შესაძლოა გადაწყვეტილებაზე მნიშვნელოვანი როლი ითამაშოს.

არსებობს რამდენიმე შემთხვევა, როდესაც საქმე შეეხებოდა კოლეგას და, სავარაუდოდ ამ ფაქტორის გამო, მათ წინააღმდეგ დროულად არ გატარებულა შესაბამისი ღონისძიება. ამრიგად, სასურველია არსებობდეს გარე და დამოუკიდებელი ორგანო.

**ბულგარეთი-** სასამართლო დამოუკიდებლობის პრინციპი უნდა უზრუნველყოფდეს მაგისტრატა დაცვის საკმარის გარანტიებს.

**ჩეხეთის რესპუბლიკა-** იქედან გამომდინარე, რომ მინისტრი არ არის ჩართული დისციპლინურ სამართალწარმოებაში, ჩეხი მოსამართლეები თავს საკმარისად დაცულად გრძნობენ.

**დანია-** დანიაში დამოუკიდებლობისათვის აშკარად საკმარისი გარანტიები არსებობს. სპეციალური სასამართლოს მოსამართლეები ათი წლის ვადით აირჩევიან და მათი გათავისუფლება მხოლოდ სასამართლო გადაწყვეტილებით არის შესაძლებელი.

**ინგლისი და უელსი-** ინგლისელი მოსამართლეები სრულებით დარწმუნებულები არიან, რომ სასამართლოს დამოუკიდებლობა მათი სისტემით საკმარისად არის გარანტირებული. კონსტიტუციური რეფორმის შესახებ 2005 წლის აქტის მიღებამდე, ლორდ კანცლერის (სასამართლოს მთავარი თანამდებობის პირის) ვალდებულება იყო დაეცვა სასამართლოს დამოუკიდებლობა. კონსტიტუციური რეფორმის შესახებ 2005 წლის აქტის ერთ-ერთი მიზანი, სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებლობის უზრუნველყოფითა და აღმასრულებელ, საკანონმდებლო და სასამართლო ხელისუფლების დანაწილებას შორის ბალანსის შენარჩუნებით, სასამართლო დამოუკიდებლობის პრინციპის გაძლიერება იყო. აღნიშნულის მისაღწევად ლორდ კანცლერმა და მთავარმა მოსამართლემ დისკუსია გამართეს, რათა გამოეკვლიათ როგორ შეიძლებოდა რეფორმა საუკეთესოდ გამკლავებოდა ლორდ კანცლერის მართლმსაჯულებასთან დაკავშირებულ ფუნქციებს. წინადადებები შემუშავდა და გაერთიანდა ახლა საყოველთაოდ ცნობილ დოკუმენტში „კონკორდატში“. მთავარმა მოსამართლემ სასამართლოს სახელით მხარი დაუჭირა ამ წინადადებებს და განაცხადა, რომ შეთანხმებული პირობები „მიზნად ისახავდა სასამართლოს დამოუკიდებლობის უწყვეტ უზრუნველყოფას“.

აქტის მე-4 მუხლი ლორდ კანცლერს, სამეფო ტახტის სხვა მინისტრებს და მართლმსაჯულების ადმინისტრირებასთან დაკავშირებულ საკითხებზე პასუხისმგებელ პირებს აკისრებს ვალდებულებას, რომ უზრუნველყონ სასამართლოს დამოუკიდებლობა. ეს ზოგადი ვალდებულება განმტკიცებულია შემდეგი მოთხოვნებით:

ა) ლორდ კანცლერი და სამეფო ტახტის სხვა მინისტრები, სასამართლოსთან განსაკუთრებული ხელმისაწვდომობის მეშვეობით, არ უნდა ეცადონ გავლენა მოახდინონ კონკრეტულ სასამართლო გადაწყვეტილებებზე.

ბ) ლორდ კანცლერმა უნდა გაითვალისწინოს სასამართლოს დამოუკიდებლობის დაცვის საჭიროება, სასამართლო ხელისუფლების მხარდაჭერის საჭიროება, რათა მათ მიეცეთ თავიანთი უფლებამოსილების განხორციელების შესაძლებლობა და, საბოლოოდ, საზოგადოების ინტერესის შესაბამისად წარმოჩენის საჭიროება იმ გადაწყვეტილებებში, რომლებიც დაკავშირებულია სასამართლო ხელისუფლებასთან ან მართლმსაჯულების სხვაგვარად განხორციელებასთან. ლორდ კანცლერის ფიცი მოიცავს კანონის უზენაესობის პატივისცემის კანონით დადგენილ ვალდებულებას.

**საფრანგეთი-** ფრანგი მოსამართლეები მიიჩნევენ, რომ მათი დამოუკიდებლობა კანონმდებლობით არის უზრუნველყოფილი, განსაკუთრებით თანამდებობიდან მათი გათავისუფლების დაუშვებლობის შესახებ დათქმით. რაც შეეხება პროკურორებს, საკითხი არსებითად განსხვავებულია: ისინი არ არიან დამოუკიდებელნი, რამდენადაც მათი ფუნქციონირება მოწესრიგებულია იერარქიული პრინციპით.

**უნგრეთი-** იუსტიციის მინისტრის კომპეტენცია სასამართლოებზე არ ვრცელდება. იუსტიციის ეროვნულ საბჭოს კი სრული კომპეტენცია აქვს.

**იტალია-** იტალიელი მოსამართლეები თავს დაცულად გრძნობენ, რადგან ა) მხოლოდ მოსამართლეს შეუძლია მათ წინააღმდეგ სანქციის გატარების თაობაზე მოთხოვნის წარდგენა; ბ) აღნიშნული მოთხოვნის შეფასებაზე პასუხისმგებელი ორგანო (იუსტიციის უმაღლესი საბჭო) ძირითადად მოსამართლეებისაგან შედგება (2/3; 1/3 კი პარლამენტის მიერ დანიშნულ გამოცდილ ადვოკატებსა და პროფესორებს წარმოადგენს); გ) ინსპექტორები მოსამართლეები არიან; დ) იტალიის კონსტიტუცია აღმასრულებელი ხელისუფლებისაგან სასამართლოს დამოუკიდებლობის თაობაზე ნათელ და მყარ გარანტიებს შეიცავს; ე) გათვალისწინებულია უზენაესი სასამართლოს მიერ საბოლოო დისციპლინური გადაწყვეტილების გადახედვის შესაძლებლობა.

**ლატვია-** რაც შეეხება აღმასრულებელი ხელისუფლებისაგან ინსპექტორი მოსამართლის დამოუკიდებლობას, სისტემა ითვლება, რომ საკმარისად იცავს დამოუკიდებლობის პრინციპს.

**სლოვენია-** სლოვენიის სისტემაში იუსტიციის მინისტრს არ აქვს უფლებამოსილება განახორციელოს საინსპექციო საქმიანობა. იუსტიციის მინისტრს მხოლოდ დისციპლინური სამართალწარმოების ინიცირების უფლება აქვს. შესაბამისად, დამოუკიდებლობის პრინციპი ნორმატიულად საკმარისად არის გარანტირებული. როგორც უკვე აღინიშნა, აღმასრულებელ ხელისუფლებას (იუსტიციის მინისტრს) მხოლოდ დისციპლინური პროცედურის ინიცირების უფლება აქვს, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი შეიძლება ჩარეულიყო აღნიშნულ პროცესში. თუმცა, სასამართლოს ადმინისტრირებასთან დაკავშირებულ საკითხებთან მიმართებით, იუსტიციის მინისტრი, მაღალი ინსტანციის თავმჯდომარეების მეშვეობით, ზედამხედველობას უწევს სასამართლოს საქმიანობას, რადგან იგი მოითხოვს სასამართლოს მუშაობასთან დაკავშირებული მოხსენების, მონაცემებისა და სხვა წერილობითი ახსნა-განმარტების წარდგენას. თავად კანონი არის სათანადოდ ფორმულირებული და შესაბამისი.

**ესპანეთი-** ესპანეთის სამართლებრივი სისტემა ითვალისწინებს დამოუკიდებლობის პრინციპის უზრუნველყოფისა და დაცვის საკმარის გარანტიებს.

## დასკვნა

ინსპექციის სამსახურის მოწყობის ფორმას დამოუკიდებლობის პრინციპის დაცვაზე მნიშვნელოვანი გავლენა აქვს. გასაკვირი არ არის, რომ ევროპელ მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭოს ნომ. 1 (2001) მოსაზრება (Opinion), რომელიც ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის ყურადღებას სასამართლო სისტემის დამოუკიდებლობისა და მოსამართლეთა შეუცვლელობისაკენ მიაპყრობს, მე-10 დასკვნაში აცხადებს, რომ სასამართლო ინსპექციის სისტემა არ უნდა ემსახუროდეს მოსამართლეთა დამოუკიდებლობისათვის ზიანის მიყენებას.

ამდენად, არსებობს ბევრი ქვეყანა, სადაც არ არსებობს ინსპექციის სისტემა, თუმცა სხვა ქვეყნებს აქვთ სასამართლო ინსპექციის სისტემა. ამ ბოლო ჯგუფს შორის არსებობს ქვეყნები, სადაც ინსპექციის სამსახური მოხსენებას იუსტიციის საბჭოს წარუდგენს, ზოგიერთი ქვეყანაში კი ინსპექციის სამსახური მოხსენებას იუსტიციის მინისტრის წინაშე წარუდგენს.

ამასთან დაკავშირებით ევროპელ მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭოს (CCJE) მოსაზრება (Opinion) N10 (2007) უნდა იქნეს გათვალისწინებული, რომელიც საზოგადოების სამსახურში მყოფ იუსტიციის საბჭოს შეეხება. მე-10 პუნქტში ევროპელ მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭო აცხადებს, რომ იუსტიციის საბჭომ უნდა აამაღლოს მართლმსაჯულების ხარისხი და ეფექტურობა, რათა უზრუნველყოს ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის (სამართლიანი სასამართლოს უფლება) სრული იმპლემენტაცია და განამტკიცოს საზოგადოების ნდობა სასამართლო ხელისუფლების მიმართ. ამ კონტექსტში იუსტიციის საბჭოს ამოცანაა შექმნას სასამართლო სისტემის შეფასებისათვის აუცილებელი მექანიზმები, გააკეთოს მოხსენება მომსახურების თაობაზე და, მართლმსაჯულების ადმინისტრირების გაუმჯობესების მიზნით, სთხოვოს შესაბამის ორგანოებს გაატარონ აუცილებელი ღონისძიებები. 52-ე პუნქტის მიხედვით, ევროპელ მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭო რეკომენდაციას გასცემს, რომ იუსტიციის საბჭომ უზრუნველყოს შემდგომი ამოცანების დამოუკიდებლად შესრულება: სასამართლოთა მართვა და ადმინისტრირება; მოსამართლეთა შეფასება და დისციპლინური და ეთიკური საკითხები.

სასამართლოთა მართვასა და ადმინისტრირებასთან დაკავშირებით, 76-ე, 78-ე და 79-ე მოსაზრებით ევროპელ მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭო ხაზს უსვამს, რომ იუსტიციის საბჭოს კომპეტენცია აღნიშნულ საკითხებზე ვრცელდება. აღსანიშნავია, რომ იუსტიციის საბჭოს სასამართლოდან შესაბამისი მონაცემებისა და სტატისტიკის მოპოვება შეუძლია. იუსტიციის საბჭომ ზედამხედველობა უნდა გაუწიოს ინსპექციის სამსახურის მოწყობას, რათა ინსპექცია სასამართლოს დამოუკიდებლობასთან თავსებადი იყოს. აღნიშნული განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, როდესაც ინსპექციის სამსახური აღმასრულებელ ხელისუფლებას ეკუთვნის.



ანალიზს საჭიროებს ის ქვეყნები, სადაც ინსპექციის სამსახური მოხსენებას აღმასრულებელ ხელისუფლებას წარუდგენს, განსაკუთრებით, საფრანგეთი, გერმანია და იტალია, ევროპის კავშირში მათი მნიშვნელობიდან გამომდინარე. როგორც ჩანს, ყველა ამ სახელმწიფოში არსებობს ბალანსი აღმასრულებელი ხელისუფლებისათვის მინიჭებულ უფლებამოსილებასა და ამ უფლებამოსილებების განხორციელების სამართლიან უზრუნველყოფას შორის.

იტალიაში მოსამართლეებს შორის არსებობს შიდა უსაფრთხოების განცდა, რადგან იუსტიციის მინისტრის უფლებამოსილება სხვადასხვა ეტაპზე შეზღუდულია მთელი რიგი გარანტიებით, განსაკუთრებით დისციპლინური სამართალწარმოების წარმართვისას და მასთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღებისას, ისევე, როგორც სასამართლო კონტროლის განხორციელებისას.

გერმანიაში, ერთი შეხედვით, სასამართლო სისტემის დამოუკიდებლობა საფრთხის ქვეშ დგას. თუმცა, საბოლოო ჯამში, დემოკრატიულ ლეგიტიმურობასა და დამოუკიდებლობას შორის ურთიერთობა მოსამართლეთა უფლებებისათვის მთელ რიგ გარანტიებს ქმნის.

უზენაესი ფედერალური სასამართლოების მართვა კომპეტენტური ფედერალური მინისტრის მიერ (ძირითადად, იუსტიციის მინისტრი) სხვადასხვა ფორმით განისაზღვრება. პარლამენტი, საარჩევნო კომისიების დახმარებით, ინარჩუნებს გავლენას უმაღლესი მოსამართლეებისა და უმაღლესი ბრალმძებლების არჩევასთან დაკავშირებით. ყურადღება უნდა გამახვილდეს ფედერალური რეგიონების როლზე, რადგან, ტრადიციულად, სასამართლო ძალაუფლების მართვის სისტემა აერთიანებს იუსტიციის სამინისტროს ცალკეულ ფედერალურ *Länder-ში* სასამართლო ძალაუფლების მართვის ყველა ძირითად ორგანოს. იუსტიციის მინისტრი სასამართლო აპარატს ფართოდ იყენებს: რაიონული და სააპელაციო სასამართლოების თავმჯდომარეებს, მათ მოადგილეებს, ისევე, როგორც პროკურატურის სამსახურის ხელმძღვანელებს, ყველა ეტაპზე. ზედამხედველ ორგანოებს შორის თანამშრომლობისა და კოორდინაციის სისტემა ხანგრძლივი პრაქტიკის პერიოდში თავისთავად დამკვიდრდა.

აღნიშნული სასამართლოს თავმჯდომარეებს უამრავი თანამშრომელი ჰყავთ, რომლებიც მათ მუშაობაში ეხმარება. გამომდინარე იქედან, რომ ყველა სასამართლოს თავმჯდომარეები შემცირებული საქმეების რაოდენობას იხილავს, ისინი ახორციელებენ ორმაგ ფუნქციას - მოსამართლისა და ადმინისტრაციული ხელმძღვანელის.

იუსტიციის მინისტრი და შესაბამისი სასამართლოს თავმჯდომარეები მათი საქმიანობის კოორდინირებას საქმიან შეხვედრებზე ახდენენ.

თუმცა, სასამართლოს დამოუკიდებლობის უზრუნველსაყოფად არსებობს მკაცრად რეგლამენტირებული სისტემა, რომელიც აწესრიგებს გადაწყვეტილების მიღების პროცესში მონაწილეობის საკითხებს:

- სასამართლოში ყველა საქმის განაწილება ექსკლუზიურად არის დამოკიდებული ე.წ. პრეზიდენტზე, რომელიც ყველა მოსამართლის მიერ არის არჩეული.
- სასამართლო სისტემაში გადაწყვეტილების მიმღები კიდეც ერთი ორგანოა ე.წ. მოსამართლეთა დანიშვნის საბჭო. აღნიშნული საბჭოს წევრები ყველა ფედერალურ პროვინციაში არჩეულია მათი კოლეგების მიერ. ეს ორგანო ახორციელებს იუსტიციის მინისტრის გადაწყვეტილებების კონტროლს, რომელიც მოსამართლის თანამდებობაზე დანიშვნასთან არის დაკავშირებული. საბჭოს არჩეულ წევრებს უფლება აქვთ მხარი არ დაუჭირონ იუსტიციის მინისტრის წინადადებებს, რომელიც, მაგალითად, დაწინაურებას შეეხება. საბჭოსა და მინისტრს შორის აზრთა სხვადასხვაობის შემთხვევაში, რასაც იშვიათად აქვს ადგილი, გადაწყვეტილებას შემრიგებელი კომისია იღებს.
- ყველა სასამართლოსა და პროკურატურის სამსახურში, რეგიონალურ, რაიონულ და სააპელაციო დონეზე, არსებობს კომიტეტები, რომლის წევრებიც არჩეული მოსამართლეები ან ბრალმძებლები არიან, რომელთაც შეუძლია პოზიცია დააფიქსირონ „ყველა ზოგად და სოციალურ საკითხთან დაკავშირებით“. ამ კომიტეტების კომპეტენციის შესახებ მკაცრად დიფერენცირებული წესების კატალოგი არსებობს. წინააღმდეგობების შემთხვევაში, საკითხი შემრიგებელ კომისიას გადაეცემა.
- ზოგიერთ ფედერალურ საბჭოში არსებობს ფორმალური წესები პროფესიული ორგანიზაციის მიერ კენჭისყაში მონაწილეობის თაობაზე, როდესაც გადაწყვეტილება იწვევს მოსამართლის სტატუსის შეცვლას და ბრალმძებლისათვის მნიშვნელოვანი შედეგის დადგომას.
- სასამართლო სისტემის დამოუკიდებლობის გამო, დისციპლინური უფლებამოსილების განხორციელების საკითხი უფრო სენსიტიურია/ფაქიზი/მგრძობიარეა. აღსანიშნავია, რომ ადმინისტრაციულ ოფიცერს (სასამართლოს თავმჯდომარეს ან პროკურატურის სამსახურის უფროსს) უფლება აქვს, დისციპლინური ღონისძიების სახით, „შენიშვნა“ გასცეს და ეს ყველაზე მცირე დისციპლინური სასჯელია. შენიშვნის თაობაზე გადაწყვეტილებები გასაჩივრებას ექვემდებარება. მოსამართლეთა და პროკურორთა წინააღმდეგ ყველა სხვა დისციპლინური ღონისძიება სპეციალიზებული სასამართლოს მიერ განიხილება.

აღსანიშნავია, მიმდინარე დისკუსია გერმანიის ფედერალურ სახელმწიფოში იუსტიციის საბჭოს და თითოეული Länder-თვის საბჭოების შექმნის თაობაზე. 2010 წლის 5 მაისს ეს წინადადება ფორმალურად მოსამართლეთა და პროკურორთა გერმანულმა ასოციაციამ წარადგინა. მასში ასახულია გერმანელი მოსამართლეების წარმომადგენელთა მოსაზრება. საბჭოს მოსამართლეთა, თანამშრომელთა და პერსონალთა სტატუსი და დისციპლინური საკითხები უნდა განეხილა. აღნიშნული მოიცავს პირად ინსპექციას, როგორც ერთ-ერთ

ძალიან მნიშვნელოვან ამოცანას. იუსტიციის საბჭოს იუსტიციის მინისტრის შეცვლა შეეძლებოდა. იუსტიციის საბჭოს შექმნის ძირითადი მიზეზი ამ საკითხთან მიმართებით ევროპის ქვეყნების დამოკიდებულებაა, რადგან ბევრ ევროპულ ქვეყანას აქვს აღნიშნული სისტემა, რომელიც მიიჩნევა, რომ პატივს სცემს და იცავს ხელისუფლების დანაწილების პრინციპს. ფაქტობრივად, 2009 წელს ევროპის საბჭომ პლენარულ სესიაზე მოსთხოვა გერმანიას იუსტიციის საბჭოს მეშვეობით სასამართლო ხელისუფლების თვითმმართველობის სისტემა შეექმნა, რათა იუსტიციის მინისტრს სასამართლო სისტემის მართვაზე არ მოეხდინა ზეგავლენა. აღნიშნული სისტემა სავარაუდოდ გააუმჯობესებდა გერმანიის სასამართლო სისტემას.

საფრანგეთის სამართლებრივი სისტემა, აგრეთვე, ადგენს მთელ რიგ გარანტიებს. თუმცა, საფრანგეთში დამოუკიდებლობის პრინციპის დაცვასთან დაკავშირებით სხვადასხვა მოსაზრებები არსებობს მას შემდეგ, რაც 2008 წლის 21 ივლისს საკონსტიტუციო ცვლილებები განხორციელდა. აღნიშნული ცვლილების თანახმად მაგისტრატა უმაღლესი საბჭოს შემადგენლობა მრავალფეროვანია. ახალმა ფორმულირებამ მოსამართლეები უმცირესობაში მოახვედრა იმ პირების სასარგებლოდ, რომლებიც პოლიტიკურ ძალთა მიერ არიან დასახელებულნი და რომელთა მიუკერძოებლობის მიმართაც არ არსებობს რაიმე რეალური გარანტიები. (7 მოსამართლე, ერთი ადვოკატი, ერთი სახელმწიფო საბჭოს წევრი და პოლიტიკური ძალების მიერ დანიშნული 6 ადამიანი).

ინსტიტუციურ რეგრესსთან დაკავშირებით გაკეთდა განცხადებები. მათ შორის, აღსანიშნავია, 2008 წლის 23 მაისის შეხვედრაზე მოსამართლეთა ევროპული გაერთიანების მიერ საკონსტიტუციო ცვლილების პროექტთან დაკავშირებით გამოთქმული მოსაზრება. აღნიშნულ შეხვედრაზე, მოსამართლეთა ევროპულმა გაერთიანებამ ერთხმად მიიღო შემდეგი რეზოლუცია:

1. მოსამართლეთა ევროპული გაერთიანება მხედველობაში იღებს იმ ცვლილებებს, რომლებიც საფრანგეთის მთავრობამ მაგისტრატა უმაღლესი საბჭოს შემადგენლობასთან დაკავშირებით დაგეგმა. ცვლილების მიხედვით მოსამართლეები უმცირესობაში არიან, ხოლო აღმასრულებელი და საკანონმდებლო ხელისუფლების მიერ დანიშნული წევრები უმრავლესობას წარმოადგენენ.
2. მოსამართლეთა ევროპული გაერთიანება, მოსამართლეთა არჩევასთან, კარიერასა და დისციპლინურ წარმოებასთან დაკავშირებულ საკითხებზე კომპეტენტურ ორგანოსთან მიმართებით, ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ევროპის ქვეყნების სახელისუფლებო ორგანოებს დაფუძნებული აქვთ ფუნდამენტალური წესები, რათა დაიცვან სასამართლოს დამოუკიდებლობა და მიუკერძოებლობა.
3. აღნიშნულთან დაკავშირებით, მოსამართლეთა ევროპული ასოციაცია მიუთითებს:

- ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის R94-12 რეკომენდაციაზე,<sup>3</sup> რომელიც მოითხოვს, რომ მოსამართლე დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი უნდა იყოს მთავრობისა და ადმინისტრაციისაგან.
- 1998 წელს ევროპის საბჭოს მიერ მიღებულ ევროპულ ქარტიაზე მოსამართლეთა სტატუსის შესახებ, რომელიც მოითხოვს აღმასრულებელი და საკანონმდებლო ხელისუფლებისაგან დამოუკიდებელი ორგანოს შექმნას, რომელშიც მისი წევრების სულ მცირე ნახევარი კოლეგების მიერ არჩეული მოსამართლეები იქნებიან.
- ევროპელ მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭოზე, რომელიც, 2007 წლის ოქტომბერში მიღებული n°10 მოსაზრებით, მოითხოვს ორგანოს შექმნას, რომლის უმრავლესობას კოლეგების მიერ არჩეული მოსამართლეები წარმოადგენენ.

4. მოსამართლეთა ევროპული გაერთიანება, ასევე, ხაზს უსვამს, რომ აღნიშნული სტანდარტები არ ყოფილა მიღებული მოსამართლეთათვის სარგებლის მინიჭების ან მათი საერთო ინტერესების გამო, არამედ მხოლოდ იმ მიზნით, რომ უზრუნველყოფილიყო სასამართლოს დამოუკიდებლობა დემოკრატიულ საზოგადოებაში.

5. მოსამართლეთა ევროპული გაერთიანება საფრანგეთში განვითარებულ მოვლენებთან დაკავშირებით შემოთვალისწინებს გამოთქვას. იგი მოუწოდებს საფრანგეთის მთავრობას ზედმიწევნით დაიცვას სასამართლოს დამოუკიდებლობის საყოველთაოდ აღიარებული სტანდარტები, რომელიც აუცილებელია, რათა საზოგადოებას სასამართლო სისტემის მიმართ სრული ნდობა ჰქონდეს.

ასევე საინტერესოა ლუქსემბურგში არსებული ვითარება. ლუქსემბურგში არ აქვთ იუსტიციის საბჭო. მართლმსაჯულების ფუნქციონირებასთან დაკავშირებულ ძირითად ამოცანებს იუსტიციის სამინისტრო ასრულებს. თუმცა, მიმდინარეობს წინადადებების შემუშავება იუსტიციის საბჭოს ამოქმედების თაობაზე.

რაც შეეხება რუმინეთს, ინსპექციის სამსახურის მაგისტრატა უმაღლესი საბჭოსათვის დაქვემდებარება შეესაბამება ზოგად სტანდარტებს. ნებისმიერი სამართლებრივი ცვლილება, რომელიც მიზნად ისახავს ინსპექციის სამსახურის იუსტიციის მინისტრისათვის დაქვემდებარებას, წარმოადგენს რუმინეთში სასამართლო დამოუკიდებლობისათვის სერიოზულ საფრთხეს.

<sup>3</sup> RECOMMENDATION No. R (94) 12 OF THE COMMITTEE OF MINISTERS TO MEMBER STATES ON THE INDEPENDENCE, EFFICIENCY AND ROLE OF JUDGES (Adopted by the Committee of Ministers on 13 October 1994 at the 518th meeting of the Ministers' Deputies). [ob.www.coe.int](http://www.coe.int)